პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 38 (1467), პარასკევი, 17 სექტემბერი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ შემოქმედებითი სექციების მუშაობა

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ისტორიული თარიღების — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად.

ჩვენი მღელვარე და მრავალფეროვანი ცხოვრება, საბჭოთა ხალხის გმირობა, მისი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის გამარჯვებები დაუშრეტელი შემოქმედებითი წყაროა მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის. იგი ახალ თემებსა და ჰორიზონტს უშლის ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს მწერლებს. მწერლისათვის დიდი თარიღებისათვის სამზადისი კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს თანამედროვეობის ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას.

თანამედროვეობის თემებზე საბჭოთა მწერლების დიდი რაზმი მუშაობს. იწერება რომანები, მოთხრობები, პოემები, პიესები, მხატვრული ნარკვევები, ლიტერატურული წერილები და მონოგრაფიები.

ნაყოფიერ შემოქმედებითს შრომაშია ჩაბმული ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელიც მუდამ მხარდამხარ მისდევდა ცხოვრებასა და დროს, ჰქმნიდა ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შრომის მხატვრულ მატიანეს. ამ ზაფხულს ბევრი ქართველი მწერალი გაემგზავრა შემოქმედებითს მივლინებაში. ისინი იყვნენ სამრეწველო ქალაქებსა და საკოლმეურნეო სოფლებში — კომუნიზმისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე, დააგროვეს მასალები ახალი ნაწარმოებებისათვის.

მათს შემოქმედებითს ანგარიშს — ახალ ნაწარმოებებს — პირველ რიგში უნდა გაეცნონ საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სექციები. სექცია, თუ შეიძლება ითქვას, არის ერთგვარი შემოწმება, რომელშიც უნდა გაიაროს მწერლის ახალმა ნაწარმოებმა. კონკრეტული ნაწარმოებისა თუ მასალების [illegible] უნდა იმართებოდეს კამათი და მსჯელობა თანამედროვე ლიტერატურის დიდ პრობლემურ საკითხებზეც და მწერლური ოსტატობის სულ უბრალო წვრილმანებზეც.

საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სექციების კრებებმა ერთ წელზე მეტი ხნის წინათ აირჩიეს ახალი ხელმძღვანელი ორგანოები. ნაყოფიერად შეუდგნენ მუშაობას პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგების, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის, თბილისში მცხოვრები რუსი მწერლებისა და სომეხი მწერლების სექციები და ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია. ახალ ნაწარმოებთა ხელნაწერების თუ გამოსული წიგნების განხილვისას ბევრი საკითხი წამოიჭრა, ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა, გაიმართა ცალკეული თემატური საღამოები და სხვ.

სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში რატომღაც შენელდა სექციების მუშაობა. ამის მიზეზები სხვადასხვაა. ბევრი მწერალი გვერდს უვლის სექციურ მუშაობას, ერიდება ახალი ნაწარმოების სექციაში მოტანას. რა თქმა უნდა, სექციების ბიუროებიც მუდამ ვერ იჩენენ სათანადო გულმოდგინებას. ბიუროების ზოგიერთი წევრი გულგრილად ეკიდება ამხანაგების ნდობას, ისინი ხშირად ბიუროს სხდომებსაც კი არ ესწრებიან.

ამ დღეებში გაიმართა სექციების წევრთა საერთო კრებები, შემუშავდა და დამტკიცდა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის გეგმები. მრავალფეროვანი და საინტერესო გეგმებია. მათი ხორცშესხმა ნაყოფიერ შედეგს მოგვიტანს. ამ გეგმების წარმატებით განხორციელება გაზრდის თვით სექციების ავტორიტეტსაც, რაც ამჟამად არც თუ თავის სიმაღლეზე დგას. დასამალავი არ არის, ხშირად სექციების სხდომებზე ვერ ვისმენთ პრინციპულ და მიუდგომელ აზრს, ზოგჯერ ჯეროვანი შეფასება არ ეძლევა ამა თუ იმ ნაწარმოებს. ამას კი დიდი ზიანი მოაქვს. და რაც მთავარია, ახალ ნაწარმოებებზე სექციის სწორ აზრს ყურად უნდა იღებდნენ ჩვენი გამომცემლობები და თეატრები, მათი დაბეჭდვისა თუ სცენაზე წარმოდგენის შემთხვევაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენს სექციებში არ ყოფილა საქმიანი კამათი თანამედროვე ლიტერატურის ამა თუ იმ პრობლემაზე. სხვადასხვა სექციების წევრები იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს. პოეტების სექციას დიდი ხანია გეგმაში აქვს კრიტიკოსებთან შეხვედრა, პოეზიისა და კრიტიკის ურთიერთობაზე მსჯელობა. ურიგო არ იქნებოდა მოგვესმინა პოეტების, თუ შეიძლება ითქვას, კრიტიკა კრიტიკოსების მიმართ და პირიქით.

სექციების მუშაობას, მის სწორად წარმართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში. ეს დიდად დაეხმარება ჩვენს მწერლებს, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალი, ჩვენი გმირული დღეების შესაფერი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას.

საბჭოთა ფილმების წარმატება

რამდენიმე დღის წინათ ვენეციაში დამთავრდა საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ მრავალი ქვეყნის კინოსტუდიები, გამოჩენილი რეჟისორები და მსახიობები.

ფესტივალის მთავარი პრემია „ოქროს ლომი" მიეკუთვნა იტალიელი რეჟისორის ლუკინო ვისკონტის ფილმს „დათვის ნისლიან ვარსკვლავებს".

ფესტივალის სპეციალური პრემიით დაჯილდოვდა საბჭოთა რეჟისორის მარლენ ხუციევის ნამუშევარი „მე ოცი წლისა ვარ" და მექსიკური ფილმი „უდაბნოში მცხოვრები სიმონი" (რეჟისორი ლუის ბუნიუელი).

პირველი საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის პრემია მიენიჭა საბჭოთა ფილმს „ერთგულებას" (რეჟისორი პ. ტოდოროვსკი, სცენარის ავტორი ბ. ოკუჯავა).

ფესტივალზე კონკურსგარეშე აჩვენეს ს. ბონდარჩუკის „ომი და მშვიდობის" პირველი ორი სერია, რომელიც ჟიურის წევრებმა გულთბილად მიიღეს.

მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად ჟიურიმ აღიარა იაპონელი მსახიობი ტოშირო მიფუნე (ფილმი „წითელი წვერი"), ხოლო ქალის როლისა — ანი ჟირარდო, მარსელ კარნეს ფილმის („სამი ოთახი მანჰეტენში") მთავარი როლის შემსრულებელი.

25 სექტემბერი პოეზიის დღეა

25 სექტემბერს ჩატარდება პოეზიის ტრადიციული დღე.

მიმდინარე წლის პოეზიის დღისათვის დიდი საღამო გაიმართება საქართველოს მწერალთა კლუბში. იქვე მოეწყობა პოეტურ ნაწარმოებთა წიგნების ბაზრობა. საღამოები გაიმართება სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ამ დღისათვის გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება" გამოაქვეყნებს ქართველი პოეტების ახალი ლექსების კრებულს „პოეზიის დღეს".

სურათზე: თბომავალი „როსია" ბათუმის ნავსადგურში.

ფოტო გ. თოლაკვაძისა.

მოლდავური კულტურის კვირეული აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის დედაქალაქში — ბაქოში ლეგენდური ქალწულის კოშკის თავზე ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ორმა ქალიშვილმა — მოლდაველმა და აზერბაიჯანელმა — აანთო ჩირაღდანი — აზერბაიჯანში მოლდავური კულტურის კვირეულის დაწყების მაუწყებელი.

კვირეულის მონაწილეები შეიკრიბნენ ბაქოს ოცდაექვსი კომისრის საფლავზე. გაისმა ცნობილი მოლდაველი პოეტის ემილიან ბუკოვის ბალადა ოცდაექვსი კომისარზე, რომელიც მოლდავეთის სახალხო არტისტმა კ. შტირბულმა წაიკითხა მშობლიურ ენაზე. სახელოვანი კომუნარებისადმი მიძღვნილ სიმღერას ასრულებს გუნდური კაპელა „დოინა". მოლდაველი სტუმრები ყვავილებით ამკობენ საფლავს.

მოლდავური კულტურის კვირეულის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელიც ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა, გახსნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. ყურბანოვი, ნავთობის სარეწის ოსტატი ვ. პოპოვი, სტუდენტი კავკაზლი, აზერბაიჯანის სახალხო პოეტი რასულ რზა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ს. კორნოვანმა.

მოლდაველმა სტუმრებმა თან ჩამოიტანეს სახვითი ხელოვნების, მხატვრული ფოტოგრაფიისა და მოლდავური წიგნის გამოფენები. ბაქოში ჩამოვიდა სახელგანთქმული კაპელა „დოინა", ორკესტრი „ფლუერაში", სახალხო ცეკვის ანსამბლი „ჟოკი", ჯაზ-ორკესტრი „ბუკურია", ახალგაზრდული სატირული ანსამბლი. ამ დღეებში კინოთეატრ „ბაქოში" უჩვენებენ მოლდავურ ფილმებს.

წიგნის დიდი ბაზრობა გაიხსნა ნიზამი განჯელის ძეგლთან. აზერბაიჯანელი მკითხველები აქ შეხვდნენ მწერლებს პეტრო დარიენკოს, პეტრო კრუჩენიუკს, ვერა მალევას და სხვ.

ატლანტიკის ცის ქვეშ

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თავზე ატლანტიკის ცა დამყურებს. ჩემი კაიუტის ილუმინატორიდან ჩანს ნათურების შუქით განათებული აფრიკის დიდი ქალაქი — კასაბლანკა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგონდება ფოთი, საიდანაც სტარტი ავიღეთ. გაცილება ცოტა სენტიმენტალური იყო. ჩვენთან გამოსამშვიდობებლად მოსულები, მზე და ნაღვლიანი შეძახილები, შემდეგ ტრაულერი „შოთა რუსთაველი" ღუზიდან მოიხსნა და შევუდექით დიდ რეისს.

ღამით გავცურეთ ბათუმს. კარგად ჩანდა განათებული სახლები. თითქმის მთელი ზღვა ისე გადავცურეთ, რომ არცერთი გემი არ შეგვხვედრია. მეორე დღეს გათენებისას მივადექით ბოსფორს. შესასვლელში ორი შუქურა დგას. შემდეგ — ზედ სრუტის პირად აშენებული ძველისძველი ციხე, რომელიც ოდესღაც ალბათ შესასვლელს იცავდა ზარბაზნების ცეცხლით.

ბოსფორში ჩვენს გემზე ამოვიდა თურქი ლოცმანი, საკმაოდ მხიარული კაცი. მან გაგვიყვანა სრუტეში. იგი კაპიტანმა პეტრე აბრამიძემ მიიღო, გამართა მოკლე, საქმიანი საუბარი ინგლისურ ენაზე. მცირე [illegible] სტუმარს.

სტამბოლი... შესანიშნავი იყო [illegible] სულთანის ლამაზი შენობები, [illegible] მოხდენილი გარეუბანი [illegible] აქ [illegible] ამერიკელთა სამხედრო [illegible]. მარმარილოს ზღვაში ერთ-ერთი [illegible] ჩვენს თავზე [illegible], როცა ფრთებით [illegible].

ეგეოსის ზღვაში უამრავი ბერძნული კუნძული შეგვხვდა. ერთ-ერთ მათგანს [illegible]. გამანადგურებლები [illegible] ქართველი [illegible] ეგეოსის ზღვაში [illegible] წინ.

— გემზე დიდი მზადებაა. ვემზადებით თევზის გადამუშავებისათვის, ტრალს ვამზადებთ. ტრალი [illegible], რომელიც [illegible] კომბინატებისაც [illegible]. აქ დღედაღამ შრომაა. ყველა მუშაობს — კაპიტნიდან დაწყებული მეორე კლასის მეზღვაურამდე. ამასთან [illegible] ყველამ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს, ყველას სურვილია წარმატებით შეასრულოს სამშობლოს დავალება და [illegible] შეიძლება მეტი თევზი დაიჭიროს. „შოთა რუსთაველს" ამის კარგი ტრადიცია აქვს. იგი ამჯერად მეორე რეისში მიდის და [illegible] მოლდავური [illegible] ყველა გრძნობს და [illegible].

ხმელთაშუა ზღვა მოგვხვდა ტალღებით. გემს ასკდებოდნენ 8-9 ბალის ტალღები. ჩვენ ლოგინებს მივეკარით, — ე. ი. ტალღების გამწვრივ, გემი აკანკალებით ირწეოდა და პირველად ბევრს აწუხებდა კიდეც. მე და იური მეტრეველი — კაპიტნის პირველი თანაშემწე — გემის წინა ბაქნიდან დავყურებდით ზღვის შავ უფსკრულს, რომელშიც ჩვენი ტრაულერი ჯერ იკარგებოდა და მერე რაღაც სასწაულით ისევ გამოჩნდებოდა ხოლმე. ყველაზე დიდი ტალღები ჩვენს თავზე გადმოდიოდა. ეს [illegible] იყო, [illegible], ზღვის [illegible].

შემდეგ — ლამაზი სიცილია, ტუნისი, ბიზერტა, ალჟირი. მწვანეში ჩაფლული ქალაქები. მოხდენილი მეჩეთები, შემდეგ — ესპანეთი...

ღამის თერთმეტი საათია (თბილისში ამ დროს ღამის ოთხი საათი გახლდათ) მე და რეზო [illegible] ვდგავართ. ჩვენთან არის [illegible], თბილისელი [illegible]. სამხრეთით [illegible] ფართოდ [illegible] ლამაზი ქალაქი მოჩანს. უფრო შორს — სოფლები, ლენტები. [illegible] ქართული [illegible].

[illegible] ტანჟერი. ჩვენ ტანჟერთან სულ ახლოს მივცურავთ. კარგად ჩანს ქალაქის [illegible] ნაწილი. მაღალი სახლები... ფართო ქუჩები... [illegible] ნაწილი მთებში [illegible]. აქ ბატარა სახლებია, [illegible] ქუჩები. ტანჟერთან მარცხნივ [illegible] და უკვე ატლანტიკაში მივცურავთ. [illegible] ლამაზი ილუმინაციები. [illegible] ატლანტის მძლავრი ტალღები. ჩვენი გემი [illegible] ირწევა. [illegible] ბევრ [illegible], მაგრამ ახლა ყველა გამოცდილი [illegible] გრძნობს.

უკვე მოვასწარით გავცნობოდით ერთ [illegible] — [illegible] ყველაზე [illegible] შეხვედრით [illegible], რომლის ყვითელი [illegible] ჩანს, როგორც [illegible] ნაპირზე [illegible]. [illegible] ნაპირებს თითქმის [illegible] ჩვენს [illegible] გაგრძნობინებენ, ოკეანე ჩვენი სამშობლოდან.

ახლა დაკარისაკენ მივცურავთ. დაკარში შევალთ, წყალს ავიღებთ. აქვე [illegible] პირველი ტრალი და ნებართვას შევეხმიანებით თევზაობა. შემდეგ გადავცურავთ [illegible] (აბა მაშინ იქნება სეირი!) და წავალთ [illegible], აქ დავიწყებთ თევზაობას. [illegible] მიდამოებში უკვე თევზს იჭერს ჩვენი სულ ახალი ტრაულერი „თბილისი", რომელიც კალინინგრადიდან 5 აპრილს გავიდა. თევზჭერა ალბათ 7 თვეს გაგრძელდება. ტრაულერ „შოთა რუსთაველის" ეკიპაჟის ყველა წევრის დიდი სურვილია დიდი შრომის [illegible] ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხოს.

როდამ ჩაჩანიძე

ტრაულერი „შოთა რუსთაველი".

ათენის სამხატვრო თეატრი თბილისში

15 და 16 სექტემბერს ორი საინტერესო სპექტაკლი ნახეს თბილისელმა მაყურებლებმა — ჩვენს ქალაქში საგასტროლოდ იმყოფება ათენის სამხატვრო თეატრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი სახელგანთქმული რეჟისორი კაროლოს კუნია.

ათენის სამხატვრო თეატრი ამ ოცდახუთი წლის წინათ, 1940 წელს შეიქმნა. [illegible], მის რეპერტუარში ცენტრალური ადგილი ანტიკურ და თანამედროვე ბერძნულ დრამატურგიას უჭირავს, მაგრამ თეატრი ამით როდი შემოიფარგლება. ამასთანავე მის რეპერტუარშია ა. ჩეხოვის, ბ. ბრეხტის, [illegible] და სხვა გამოჩენილ დრამატურგთა პიესები. ისე რომ, თეატრი თავის რეპერტუარში კარგად ათავსებს 24 საუკუნოვანი ისტორიის მქონე ანტიკური ხანისა და თანამედროვეობის სხვადასხვა [illegible] ნაწარმოებებს.

თბილისში ათენის სამხატვრო თეატრმა ორი ანტიკური ხანის პიესა ჩამოიტანა — ესქილეს „სპარსელები" და არისტოფანეს „ჩიტები". ორივე ამ პიესას ათენის სამხატვრო თეატრის სცენაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ პიესებში თეატრი მუდამ იძენს გამოხმაურებას, [illegible] და [illegible], ამიტომაც არის, რომ ამ სპექტაკლებს მუდამ დიდი წარმატება ახლავს თავის ქვეყანაშიც და [illegible]. ასე იყო მაშინ ლონდონში, ხოლო წელს — თეატრალურ ფესტივალზე პარიზში.

თბილისის შემდეგ ბერძენი მსახიობები სპექტაკლებს გამართავენ ბათუმში, მოსკოვსა და ლენინგრადში, რის შემდეგაც ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობა პოლონეთში.

მეგობრები

ნარკვევი

ჩიკო

— იცნობდით, ეს გახლავთ ჩვენი კოჩალი მაკაკო, — ქართულად მითხრა ქერათმიანმა პოლკოვნიკმა.

გამიკვირდა: თურმე ქართველი ყოფილა. აქამდე კი რუსულად მელაპარაკებოდა.

შემამჩნია და გაიცინა — დიდხანს გახლდით რუსეთში და ალბათ ფერი ვიცვალე, ისე კი, ქართველი გახლავართ, [illegible]. — ცოტა ხნის შემდეგ [illegible] და წავიდა, პალატებს მოვუვლიო.

ორნი დავრჩით. მე და მაკაკოდ მონათლული მარგო ბუაძე — უფროსი საოპერაციო და, სიმაღლით ოდნავ დაბალი ქალი.

ჯერ შეპარვით შევათვალიერე. მერე [illegible] ომის მონაწილეებზე ნარკვევს ვამზადებ და მინდა ერთი თავი თქვენ დაგითმოთ მეთქი.

სიხარული ვერ დამალა. სულმოუთქმელად და ცოტა დაბნეულად მიყვება ჯერ თავისას, მერე კი...

— იცით, ჩვენს განყოფილებაში, იმისთანა კარგი ექიმი გვყავს, რომ მეტი არ შეიძლება. განათლებული კაცია. კარგი ოჯახიშვილია, [illegible]. ომის დაწყების დღიდან თურმე ცეცხლის ხაზზე მიისწრაფოდა ფრონტზე. ისე [illegible] კაცია, [illegible] აქვს [illegible] მუშაობდა. სამხედრო აკადემია აქვს დამთავრებული და [illegible] წელი სრულდება, რაც ჩვენს ჰოსპიტალშია... მასზე ამბობენ, ოპერაციას კი არ აკეთებს, ხატავსო.

განყოფილებაში წამიყვანა, ეს ჩემი [illegible]. დამათვალიერებინა კარადები, სადაც საოპერაციო იარაღი და სხვადასხვა ნივთი ჰქონდა შენახული, ყველაფერს [illegible] ხელი ეტყობა. [illegible] და [illegible]. მერე ექიმები გამაცნო, მაღალ-მაღალი, კარგად მოსულ [illegible] მითხრა ჩემი განყოფილების უფროსი სოლომონ ჩერტკოვიაო, მერე კი უფროს ორდინატორთან მიმიყვანა და წარმიდგინა. — წელან რომ [illegible], ეს კაციაო.

...ის სიმაღლით ცოტა მაღალია, [illegible], [illegible], მხრებში ოდნავ აწეული, [illegible] კოსტუმი აცვია მორგებული, [illegible] ნაბიჯით იყის ხიარული.

შემდეგ, რაც თვალის [illegible], ეს არის მისი ულამაზო, მაგრამ საკმაოდ სიმპათიური, [illegible] სახე, [illegible], ღრმა ნაოჭით დასერილი მაღალი შუბლი და დიდრონი გულადი თვალები. თვალის უპეებიც საკმაოდ [illegible] აქვს. ცხვირი — კეხიანი.

მას [illegible] ულვაში კოხტად იყენებს, [illegible] მეტად მოხდენილი აქვს, [illegible] უხდება, მაგრამ აძვირებს. თმა საკმაოდ შეთხელებია, თუმც იმ [illegible] და ხვაიერ [illegible] სავსე [illegible] უვლის.

ყოველივე ეს, საკმაოდ დიდ ტანჯვაგამოვლილ ადამიანის შთაბეჭდილებას ქმნის.

დინჯი და აუჩქარებელი საუბარი იცის. მუდამ საქმით არის დატვირთული, ძალიან უყვარს თავისი პროფესია — ქირურგია. ლაპარაკის დროს მკვეთრ ხვერბსაც [illegible] წარმოსთქვამს, ზოგს კი თითქოს ყლაპავსო. ესეც უხდება.

ამბობენ, ოჯახის ნათქვამი კაციაო. ზოგი ჯიუტს ეძახის, ზოგი პრინციპულს, მე კი [illegible].

ხან მეტად გულთბილია, ყურადღებიანი, ხან კი საკმაოდ უხეშიც.

გვარით ამაყობს: — ჩიკოიძეები სამი ოჯახი ვართ, ერთი თბილისში, მეორე — გორში და მესამე — გერმანიაშიო...

იმას კი აღარ ამბობს, რომ ჩვენ გვართში ყველა [illegible] ვერდებით და მალე [illegible].

[illegible] ჩიკოია განაწყენდება და [illegible], — ქალის [illegible].

ამ [illegible] კაცს [illegible] ეძახიან, მინ — ჩიკოს.

გილოცავთ!

საშინელი საოპერაციო დღეა. ავადმყოფს ნელ-ნელა აბრუნებს ნარკოზი. შემდეგ მოწყნარებას იწყებს და ღრმად სუნთქავს.

მძიმეა ექიმის განცდა. ფრთხილად [illegible] ჰოლიმბას, ხახის კუნთები ეჭიმება, [illegible] სახეს [illegible] ეძლევა და [illegible] ცხვირი ოფლმა დაუწინწკლა. ექიმმა სახის [illegible] და თანაშემწეს დაუყვირა:

— ოფლი!..

ნესტიანმა დოლბანდმა სწრაფად შეუშრალა სახე, [illegible] იარაღების ხმაური თუ ისმის. უცებ ძალი [illegible].

საოპერაციო [illegible] ხმის [illegible].

— ქალო, შემოჩენილი ხომ არა ხარ, [illegible]? — ხმას უწევს, დიდრონ გულადი თვალებს წყრომით [illegible], და... თანაშემწე უხმოდ, [illegible] ექიმის [illegible]. სწრაფად [illegible] საოპერაციო იარაღს. გულში კი ჯავრობს:

— ჩემი შენ თავს! რა [illegible] ხოლმე...

საოპერაციო დრო მიილია, ავადმყოფი ნელ-ნელა ფხიზლდება. ექიმი დაკვირვებით უსინჯავს მაჯას, ერთხელ კიდევ შეათვალიერებს და ღრმად ამოისუნთქავს. ოფლს იწმენდს, შვებით [illegible] მეგობარს.

მარგო კი განაწყენებულია. თვალს არიდებს. ექიმს [illegible] ახსოვს, მაგრამ იგის ხოლმე თქმა: — მძიმე ხასიათი მაქვს, უბრალო [illegible], ალბათ [illegible]. [illegible] ქალი ძლივს [illegible] წინ, [illegible] და მარგოსთან მივა, მარჯვენას გაუწვდის და „ნაცადი მეთოდით" ტკბილად, სასიამოვნოდ ჩაულაპარაკებს:

— ქალბატონო მარგუშა, გილოცავთ!..

მაშინ მარგოც წყრომით აკრეფილ წარბებს დაუშვებს, ღიმილს ტუჩებით ჩაიკეტავს, ცოტა კი [illegible], მაგრამ სიხარულს ვეღარ დამალავს და ყველაფერი დაავიწყდება. საყვარელი ექიმი ზოგს მოითხოვს, და ისიც იცინის. ერთმანეთს ულოცავენ დღევანდელ გამარჯვებას.

გაჭირვების ტალკვესი

მარტო დღესაც მთელი დღე ბზრიალებდა. ექვსი ოპერაცია გააკეთეს. ჯავრობს:

— საწყრაფო დახმარების მეოთხე ქირურგიული განყოფილება მაინც ყველაზე მეტად დატვირთულია. პირდაპირ სატანჯველია, მთელი დღე წუთით ვერ მოილის [illegible], სულ [illegible] ვართ. აქ [illegible] ავადმყოფები მოჰყავთ, დღეში [illegible] ოპერაციას ვაკეთებთ. მოდი და დაისვენე, დაიღალე, ნამდვილად დაიღალე. — ბუტბუტებს, — ხან კვირაა, ხან სანატორიუმი დღეა. თანაც [illegible] რა დასჭირდება, სხვა განყოფილებიდანაც აქ გამორბიან, რას აღარ მოითხოვენ, [illegible]...

ამიტომაც ხუმრობით იტყვის ხოლმე ქირურგი გივი ჩიკოიძე — ვაჭრის ქვრივივით არის შენახული, მაგის კარადებში რას აღარ ნახავთ და დასცინის: — გუშინ მარგუშასთან ვიქეჩ, მანქანის [illegible] დავკარგე მეთქი, მაგან კი გამოხსნა კარადა და მითხრა: — აარჩიეო.

ამიტომ უწოდებიან ყველა განყოფილებაში, პალატებში, დერეფნებში, ზოგი მარგუშას ეძახის, ზოგი მაკაკოს, ზოგიც მაგალის და ვინ მოსთვლის. ყველა კი ერთს ამბობს? — ჩვენი მარგუშა გაჭირვების ტალკვესიაო...

ახლაც დაღლილი მიადგა ფანჯარას, თითქოს [illegible] აღარ ჰქონდა, გამოხსნა, [illegible] ახლად [illegible] მიწისა და [illegible] სუნი შემოიტანა. ხარბად შეისუნთქა, ესიამოვნა, ბექობს გადახედა. აკაციები შეფოთლილიყო. საკუთარი ფიქრებისათვის ძლივს მოიცალა, მოგონებებს აჰყვა. ოცდახუთი წელიწადია სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობს. ომმა სად აღარ მოახვედრა, ვინ მოსთვლის: ფრონტები, კრონშტადტი...

— ერთხელ, — ჰყვება იგი, — ბრძოლებში დაზიანებული ორმოციოდათ კაცი მოიყვანეს. მთავარმა ექიმმა მე ჩამაბარა, ეშელონამდე მიიყვანე და ვაგონში დააბინავეო. შევშინდი, რა უნდა მექნა ამ უსინათლოებთან. მაგრამ გონება მოვიკრიბე და ხელებით გადავაბი ერთმანეთზე. მხრის თავებზე ჩავაკიდებინე ხელი, და ასე დამწკრივებულები დროზე ადრე მივიყვანე. ახლა ვაგონში ასვლამ შემაფიქრა, უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე, ვაგონის კიბესთან ჩავიმუხლე და გავამხნევე ის უბედურები: — ნუ გეშინიათ, მუხლზე დამადგით ფეხი, ხელით მხარზე დამეყრდენით, სახელური მოძებნეთ და ისე აადით მეთქი. ასე ავიყვანე ორმოციოდათ კაცი.

ჰყვება მარგო და ისე გაიცინის, თითქოს ყველაფერი ეს ახლა ხდებოდეს. გივი ექიმი ამიტომ შეადარებს ხოლმე ხუმრობით:

— ნუ ფიქრობ, დინჯად ილაპარაკე და გამაგებინე რას ჰყვები. — და ვინ იცის მერამდენედ დააწყებინებს თავიდან, კარგი ლაპარაკი უნდა განსწავლულს. თვითონ რომ მოჰყვება, ახლა ექიმს შეუბღვრება, ექიმო, თქვენიც მიამბეთ.

— მე მიჭირს იმის მოგონება, — იტყვის ხოლმე გივი. ხანდახან კი, თუ გუნებაზეა, თავისით მოუყვება ერთ პატარა ამბავს.

— მუცლის ტიფით გახლდი ავად და ისე დავსუსტდი, რომ ცხვირზე ბუზი მაჯდებოდა და ხელის აქნევაც არ შემეძლო. — თან გაიხუმრებს, — ხომ იცი ჩემი „პატარა" ცხვირის ამბავი, მაგრამ იმხელა ბუზი იყო, რომ შეეძლო ცხვირის ცდილობდა და ვერ ვძლიე. არ ვიცი მკვდარი ვეგონე თუ ჰკვდებოდი და მკვდრის სუნი აიღო... სიცხისაგან დასუსტებული [illegible] ვერ ვგრძნობდი, რომ ბუზი მოშვილდებოდა, ვითმენე, ვითმენე და მერე სიმწრით ავტირდი... ამხელა კაცი რომ მოიქმით დავიწყებდი ტირილს, კარგი სანახავი ვიქნებოდი არა? ექიმმა შემოიხედა, კარებთან გაჩერდა და შემეკითხა: თუ არ მცემ, შემოვალო. თურმე ყველას გეყვარდით, ვინც ახლოს მივიდოდა, მაშინ კი ცემის თავი სადა მქონდა, ძლივს ვაგიმშნე, ბუზი მომაცილეთ მეთქი.

ასე საუბრობენ ხოლმე ყოფილი ფრონტელები. მარგო საბრძოლო ცხოვრებას სიამაყით იგონებს. დღევანდელი დღე კი უხარია... — კარგი უფროსები მყავს, შესანიშნავი ადამიანია ჰოსპიტლის უფროსი ბორისოვი, [illegible], ყურადღებიანი და მეტად გულთბილია ჩემი განყოფილების გამგე სოლომონ ჩერტკოვი, ყველაფერი გულთან მიაქვს და აკი ავადაც გამიხდა, — წუხს.

მერე მაინც უფროს ორდინატორ გივი ჩიკოიძეზე გადაიტანს ყურადღებას. გულღრუბლიანი კაცია, ადვილად ვერ გაუგებ წყენასა და ლხენას, მინდაგან [illegible] ამჟღავნებს. ოცი წლის მანძილზე ხანმოკლე სტუმარი თუ ყოფილა თავისი მშობლიურ, რუსეთში მუშაობდა... ახლა კი მეოთხე წელია საქართველოშია და უხარიან, რომ არ დაუმჩნევია, და კარგად იცის მისი ყველა კუთხე-კუნჭული.

საღამოხანს

დღეს ექიმმა რამდენიმე ოპერაცია გააკეთა, დაღლილია, მაგრამ კარგ გუნებაზეა, სიხარულს უზიარებს მეგობარს:

— მარგუშა, თბილისში დამირეკა, ახალ ბინაში შევედითო...

— მოგილოცავთ, ექიმო, ბედნიერად იცხოვრეთ, ბედნიერო.

დღეს ექიმი ნარკიზის განყოფილების უფროსად დანიშნეს, პოლკოვნიკობასაც მიიღებს. პალატებშიც კარგადაა საქმე, ავადმყოფები კარგად არიან. ალბათ ამიტომ შეიცვალა, ეხლათ დატკბა, ყველას ეფერება, ჯერ მარგოს გაეფერება, მერე მახლობელ პალატაში შეიხედავს, მისი მეგობარი სოლომონ ჩერტკოვი საწოლში ვერ ისვენებს, აფგომა უნდა, ის კი მაგრძნობელ ტუჩავს.

— იწექი, არ წამოდგე, თორემ გცემო. მარგოს კი ყველაზე მეტად უხარია — აქამდე ბინას მიუჩინოდა, თორემ დასანანი, ამისთანა კარგი ადამიანი რომ ოჯახს ვერ მოეყვანება... ახლა კი იიხოვს ქალსთ. დრო უმოკლეს და სიტყვა გაუთიშებ:

— გივი ბატონო, რომ იცოდეთ რა კარგი გოგოა ის „კოცროჭინა"...

ექიმმა პაპიროსი კბილებით მოიღო. სიმტკიცისა თუ საჯიუტის გამომხატველი თხელი ტუჩები ფშვავლა ულვაშებში მოიქცია, და ჯიუტად მიახალა:

— ჩვენ სხვადასხვა ადამიანები ვართ...

— სხვადასხვა რაა... თავიანი გოგოა და... ჩაიბუზღუნა უკმაყოფილოდ.

ექიმმა წარბი შეკრა — რამდენს მელაპარაკებით.

— ექიმო, მფუუმარცობით უფროსი ვარ, და ამიტომაც გიბედავთ — სიტყვა ჩემია. მე დედა ვარ, შვილები მყავს, ოჯახი მაქვს, თქვენ კი...

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდება. შემდეგ ისევ მარგო წამოიწყებს და ნაცნობ სტრიქონებს მიუღიღინებს:

ჩემს ყურენს რაღა მადლი აქვს,

ან მშვიდად როგორ მძინის...

ცეცხლს თუ გავიგებ მენზედა,

მაინც მე უნდა მეწვინოს,

ქალმა ითხოვ და შევფიცი,

ღმერთმა წვერე გამუმუნოსო!

ექიმს გაეცინება და იტყვის:

— ცოტა მატრაკვეცია რომ არ იყოს...

საღამოხანს, როცა ოპერაციები გათავებულ გასჭტავს, ექიმს შეეცოდება დაღლილი მარგო, მერე გზა აქვს გასავლელი და გადაულაპარაკებს:

— მარგუშა მივდივართ!

ნისლისფერი მუშუქი მანქანა ფრთხილად მიჰყვება მტკვრის სანაპიროს, მერე ვარაზის ხევს გადაივლის და ჭავჭავაძის პროსპექტზე დიდ სახლთან შეჩერდება.

ეზოს კარზე რუსიკო და ოტია დედას უცდიან, დაინახავენ და ერთმანეთს მიაძახებენ:

— მაკაკო მოდის, მაკაკო.

— მოგიყვანეთ დედა, დაგვიგვიანე? — გაიხუმრებს ექიმი.

დედამშვილების შეხვედრა ექიმს გულს მოუთბობს, სიმღერა უნდა მტკიცედ ქენილის შეხება... და ჩუმად მარგოს გამოაჯავრებს:

— სიტყვა ჩემია, სიტყვა ჩემია.

მერე ფიქრის გორაზე დავშვება, რკინის ჭიშკარს შეაღებს, დაძახობილ კიბეს დინჯად აივლის, მუხლებში დაღლას იგრძნობს და მოწყენილი ნაბიჯით ატუკებს ბინეს? ...

დერეფანში თოვლი და გოგოს ღიმილით შეეგებებიან ძმას. სიხარულს ვეღარ დამალავენ და მაგიდის ვერნადეში გაუდგებიან:

— ჩიკო, ჩიკოუნა... მობრძანდი!..

ქეთევან ხახუტაშვილი

ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ᲓᲦᲔᲡ ფიქრით მე კვლავ მოვკარი თვალი მას. წლების სიმძიმით დამძიმებული, წარმოსადეგი მოხუცი ხელჯოხით მიაბიჯებდა აუჩქარებლად, მაგრამ მტკიცედ. [illegible] ქუდის მოხდით მესალმებოდა [illegible] ღიმილს თუ მადლის და სულიერი კმაყოფილებით აღვსილი გამოხედვა თავის გზას.

...ხშირფოთლოვანი მცენარეებით მორთული ტროტუარების გაყოლებით, ტანწერწეტა ხეთა ხეების მაღლა იდიმებიან ვიტრინები, მოწითალო და რიანგელი შენობები — სომხეთის ქვეყნის მრავალფეროვანი ქვის ყვავილები. იგი ჩერდება ახალი შენობის წინ, საგულდაგულოდ ათვალიერებს სვეტებს, ჩუქურთმებს. ქალაქის დამამშვენებელი ყოველი არქიტექტურული სიახლე, ახალი მოედნები, ახალი მონუმენტი, გუშინ დარგული ბუჩქი და ყვავილი ბედნიერებას და სიხარულს ანიჭებს მას, ის ხომ რამდენიმე წლის წინათ დაწერილ თავის რომანში „თეთრ ქალაქში" სწორედ ამაზე ოცნებობდა, ახლა კი „თეთრი ქალაქი" მარტო ლიტერატურული ნაწარმოების სათაური როდია. ის არის ხელშესახები და თვითმყოფადი არქიტექტურული ჩანაფიქრის განუმეორებელი შემოქმედება, რომელიც მრავალი საუკუნეების მიღმა არარატის ჩრდილქვეშ გადაშლილა. რა მაღლა და როგორი სიზუსტით ეხედა მწერალს ოცნება თეთრ ქალაქზე — ცისარტყელის სხვადასხვა ფერებით დამშვენებული, სომხური მონუმენტური ტონაქციებით მორთული და ადამიანის დაუშრეტელი სულიერი სილამაზით შემკული ეს თეთრი ქალაქი ერევანია — მისი სამშობლოს დედაქალაქი.

[illegible] წლის იუბილარი სტეფანე ზორიანი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ნაღვაწი საუკუნე სომხურ ლიტერატურას მოახმარა, ჩვენი თანამედროვე პროზის დიდოსტატია, ყველა ახალის მოთხოვნილებისაგან სიყვარულით გარემოსილი. ჭაბუკი იყო ზორიანი, როცა მიატოვა მშობლიური ყარაქილისა (კიროვაკანი) და თბილისს ესტუმრა. აქ მან მუშაობა დაიწყო ჟურნალ-გაზეთებში და 1909 წლიდან სისტემატურად აქვეყნებდა მოთხრობებს ჟურნალ-გაზეთებში. სამაზრო ქალაქებში მცხოვრები პატარა ადამიანების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნოველებისა და მოთხრობების პირველი წიგნი „მოწყენილი ადამიანები" სახელწოდებით გამოიცა 1913 წელს.

ახალგაზრდა პროზაიკოსმა ამ წიგნით უკვე სახელი მოიხვეჭა როგორც ადამიანების ბედიღბალზე დაფიქრებულმა, ფაქიზი გამოცდილი ხელოვანმა. ს. ზორიანის მომდევნო მოთხრობების შინაარსი მეტწილად ეხებოდა ღარიბ-ღატაკ, ცრუმორწმუნეობით შებყრობილ სომხურ სოფელს და მიწას მონატრებულ გლეხკაცობის ცხოვრებას. საერთოდ იგი აღწერდა ზოგადადამიანურ ფართო ინტერესებს და სოციალურ აქტივობას მოკლებულ, კერძო მესაკუთრული ჯებით შეპყრობილი ადამიანების ნაცრისფერ ყოფა-ცხოვრებას და დახავსებულ ფსიქოლოგიას.

სტ. ზორიანის მაშინდელი მოთხრობების გმირები საშინელი სინამდვილისაგან დაბეჩავებული ადამიანები არიან, მაგრამ მათში მოიპოვებიან ხალხური სიბრძნითა და ხვალინდელი დღის რწმენით აღჭურვილი ადამიანებიც. მათ სწამთ ცხოვრება და იმედით იყურებიან წინ. მოვიგონოთ „პაპა და შვილიშვილი", ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა, რომელიც ქება-დიდებას უმღერის ცხოვრებას, ბუნებას, მის მარადიულობას.

ზორიანის მომდევნო წლების მოთხრობების სოციალური ფონი კიდევ უფრო გამუქდა. სტ. ზორიანი ამათრახებს სოციალურ ბოროტებას, რომელიც ამახინჯებს ადამიანის სულს, შეურაცხყოფს მის პატიოსან და ლამაზ გრძნობებს.

პირველი მსოფლიო ომი ზორიანის მთელ რიგ მოთხრობებში აისახა. მათში ნაჩვენებია ხალხის აღშფოთება და პროტესტი. მოთხრობა „ომი" სოციალური გამიზნულობითა და რეალისტური გამომხატველობის ძალით ზორიანის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

პროზაიკოსმა ღრმააზრიანად აღიქვა სომეხი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამოქალაქო ომი და ახალი ადამიანის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების თემა. მწერლის ფართო თვალთახედვის ანარეკლია მოთხრობა „რევკომის თავმჯდომარე". ამ ნაწარმოების მთავარი გმირი რევკომის თავმჯდომარე ისეთ მძიმე სულიერი ტანჯვა-წამების წუთებშიაც კი შეუდრეკელ მებრძოლად რჩება. „რევკომის თავმჯდომარე" სომხეთში სამოქალაქო ბრძოლების ამსახველი ნაწარმოებია და აგრეთვე იმის დასტური, თუ როგორი კეთილი გავლენა მოახდინა რევოლუციამ ზორიანის შემოქმედებაზე.

ოცდაათიან წლებში სტ. ზორიანი ბავშვებისა და ჭაბუკებისათვის წერს მოთხრობებს და ზღაპრებს (ცხოველებზე). მანვე სომხურად თარგმნა „ბიძია თომას ქოხი", „ტომ სოიერის თავგადასავალი", ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა" და სხვ.

სტ. ზორიანის კალამს ეკუთვნის „ვარდაძორის კომუნა", „ლეკბერის მასწავლებელი ქალი", „შავი სეთო" და სხვა მოთხრობები და მცირე რომანები, რომლებშიაც მხატვრული სიტყვის ოსტატის მგრძნობიარე კალმით აღწერილია ახალი ადამიანის, ახალი საზოგადოების მაღალი ადამიანური სიკეთით შემკული პერსონაჟების დახატვა.

ზორიანის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა რომანი „ერთი სოფლის ისტორია". ამ შესანიშნავ ნაწარმოებში მარტივად, ხალხური სასაუბრო ენით შესანიშნავად არის დახატული გარდასულ დროთა რეალისტური სურათები, აღწერილია ერთი სამაზრო ქალაქის ცხოვრება, მისი ადამიანების ყოფა. ხელოვნების დიდოსტატის ბეჯითი კალმით შექმნილი ეს რომანი მრავალ ენაზეა თარგმნილი.

სტ. ზორიანს იცნობენ საზღვარგარეთელი მკითხველებიც. მისი რომანები, მოთხრობები და ნოველები თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ჩეხურ, შვედურ, ბულგარულ, პოლონურ და რუმინულ ენებზე.

სტ. ზორიანის ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ბევრ ენაზე. მარტო „ერთი სოფლის ისტორია" რუსულ ენაზე რვაჯერ დაიბეჭდა. მწერლის ვრცელი მოთხრობა „ვაშლის ბაღი" ქართულ ენაზე თარგმნა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა კ. გამსახურდიამ.

დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში სტ. ზორიანმა გამოსცა ისტორიული რომანი „მეფე პაპი" და მრავალი მოთხრობა, რომლებშიც აღწერილია საბჭოთა ადამიანების პატრიოტული საქმეები. ეს მოთხრობები გაერთიანებულია კრებულში „ნათელი სულები".

სომხურ ლიტერატურაში ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისტორიული რომანები „მეფე პაპი" (1944 წ.) და „სომხური ციხე-სიმაგრე" (1959 წ.). ამ ნაწარმოებებით სტ. ზორიანმა დიდად გაამდიდრა სომხური ისტორიოგრაფიული სიტყვაკაზმული მწერლობა.

სხარტი და ძარღვიანია სტ. ზორიანის ენა. იგი სიტყვის მუსიკოსია. ხალხური ცოცხალი მეტყველებით, ნაზი იუმორითა და ამაღლებული გრძნობებით არის აღსავსე მისი ყოველი ნაწარმოები.

ჩვენ ახლა ჟურნალ „სოვეტაკან გრაკანუთიუნის" რედაქციაში ვართ. ჩვენი უფროსი კოლეგა ხშირად მოდის აქ. აინტერესებს ლიტერატურის ავკარგი. კრიალა სათვალით, ჩვეულებისამებრ, ღიმილით, თავისებური გამოხედვით გვიმზერს, შემდეგ წყნარად, თავშეკავებით იძლევა პასუხს ჩვენს მოკრძალებულ შეკითხვებზე.

„ჩემი ყველაზე საყვარელი პოეტი ოვანეს თუმანიანია. ძნელია სხვა მწერლის დასახელება, რომელიც თავისი შემოქმედებით ისე ახლოს იყოს მშობლიურ ხალხთან, როგორც თუმანიანია. თუმანიანი ყველას ესმის და ყველა აღტაცებულია მისით. ეს განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც თავისთავად ადასტურებს მის სიდიადეს, მოვლენა, რომელიც ამტკიცებს, რომ თუმანიანი თავისი ხალხის სისხლი სისხლთაგანია..."

ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ჩვენი დროის პროზის ვეტერანის მიმართაც, რომლის შემოქმედებით პრინციპებში აშკარად იგრძნობა დიდი სახალხო პოეტის შემოქმედებითი პრინციპები.

— რას იტყვით თქვენს ახლანდელ ლიტერატურულ საქმიანობაზე?

— მოვათავე ათტომეულის უკანასკნელი ტომის რედაქცია. დავწერე ახალი ისტორიული რომანი, რომელიც არშაკ მეფის მემკვიდრე ვარაზდატ მეფის ეპოქას ასახავს. ვამთავრებ დაწყებულ მოთხრობებს და კიდევ ვინ იცის...

სტ. ზორიანის კალამს არ ეკარება ხანდაზმულობა, თვითონ მასაც კვლავ ახალგაზრდული ოცნებით უბრწყინავს თვალები...

უძველესი დროიდან მოდის სომეხ ხალხში გავრცელებული ფრიად კეთილი დალოცვა: „დილა მშვიდობისა", „დღე ნათელი", „გზა ნათელი"...

მუდამ გქონოდეთ მშვიდობიანი დილა, დღე ნათელი, გზა ნათელი, მხნეობა და ჯანმრთელობა თქვენ, ჩვენო სახელოვანო ვარპეტო!

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲙᲣᲠᲢᲘᲙᲘᲐᲜᲘ

„ᲕᲘᲡᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ" ᲓᲐ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ" ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲑᲘᲫᲔ

„ვისრამიანი" და „ვეფხისტყაოსანი" ერთი ეპოქის ძეგლებია. „ვისრამიანი", (ვგულისხმობთ ქართულ რედაქციას), რამდენიმე ათეული წლით მაინც უსწრებს წინ დიდი რუსთაველის ქმნილებას. მათ შორის ბევრია საერთო ლექსიკის, ცალკეული გამოთქმების და სხვა ენობრივი მონაცემების თვალსაზრისით. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორი „ვისრამიანის" მთარგმნელისა დავალებულია. საერთო ენობრივი მოვლენები ერთისა და იმავე ეპოქის ორ ლიტერატურულ ძეგლში, სხვადასხვა წყაროებისა და გზების საშუალებით, ეროვნულის ნაყოფიერებისა და გავლენის გარეშე შეიძლება წარმოიშვას. საკითხი: იცნობდა თუ არა რუსთაველი „ვისრამიანის" ქართულ თარგმანს, ანუ იგი აღებულად გადასაწყვეტია, როგორც ეს, შეიძლება, პირველად [illegible]. ამაზე ახლა არ ვიმსჯელებთ. როგორადაც არ უნდა ვიფიქროთ, ერთი რამ ცხადია: „ვისრამიანისა" და „ვეფხისტყაოსნის", როგორც ერთ ეპოქაში წარმოშობილი თხზულებების, ლექსიკის საკითხების კვლევა ერთმანეთს უკავშირდება.

„ვისრამიანი", როგორც ვიცით, თარგმანია. მისი ლექსიკა თავს იჩენს როგორც რუსთაველის ეპოქის, ისე აღორძინების პერიოდის პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებში. იგი ქართული ენის დიდი ძეგლია. მასში ასახულია ჩვენი მშობლიური ენის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი. ცხადია, იგი შესწავლილი უნდა იქნეს მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის თვალსაზრისით. [illegible] ამ ეპოქის სხვა ძეგლთა ენის ბუნების გარკვევის, ქართული ენის ლექსიკისა და ისტორიის შესწავლის საქმეში.

სამწუხაროდ, ამ დიდმნიშვნელოვანი თხზულების ენის შესახებ დღემდე არ დაწერილა არც ერთი მეცნიერული გამოკვლევა, არც ერთი წერილიც კი. მაშინ, როცა მას („ვისრამიანის" ენის შესწავლას) შეეძლო ნათელი მოეფინა კლასიკური ხანის ძეგლებისა და მათ შორის „ვეფხისტყაოსნის" ენის გაგების ზოგიერთ საკითხსაც კი.

„ვისრამიანის" შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, გამოცემებისა და ლექსიკონების გაცნობა ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული თხზულების ლექსიკა ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი და ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი. ნათარგმნი თხზულების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გაგებას, თუ მთარგმნელი რა შინაარსსა და მნიშვნელობას დებს ამა თუ იმ სიტყვაში, რა აზრით ხმარობს ის მათ. ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს სპარსულმა ტექსტმა — უნდა გაირკვეს თარგმანში ხმარებული ესა თუ ის ჩვენთვის საინტერესო სიტყვა რომელი სპარსული სიტყვის სანაცვლოდაა ნახმარი და რა მნიშვნელობები გააჩნია მას.

„ვისრამიანის" სპარსულ-ქართულ ტექსტებზე ახლოს ხასიათის კვლევა-ძიების შედეგად გამოვლინდა ზოგიერთი სიტყვის ისეთი მნიშვნელობა, რაც „ვისრამიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" არსებულ ლექსიკონებში არაა აღნიშნული და ტექსტის სათანადო ადგილებსაც ის უფრო უდგება, ვიდრე არსებული განმარტებანი. აქ ზოგიერთ სიტყვას განვიხილავთ:

ᲑᲐᲡᲠᲘ

სიტყვა **ბასრი** გვხვდება „ვისრამიანში", „ვეფხისტყაოსანსა" და სხვა ძეგლებშიც. დღევანდელი მისი მნიშვნელობა ასეთია: მეტად მჭრელი, მახვილი, მკვეთრი და სხვ. კლასიკური ხანის ძეგლებში ის ფოლადს აღნიშნავს. წარმოშობით, ჩანს, უკავშირდება ქალაქ ბასრის (ამჟამად ერაყის ტერიტორიაში მდებარე), რომელიც განთქმული იყო ხმლებისა და ფოლადის წარმოებით.

„ვისრამიანში" იკითხება: თუ შენი ხრმალი ბასრი არის, არცა ჩემია ბზისა (IV გამოცემა, გვ. 118).

როგორც ჩანს, ტექსტის ეს ადგილი ზოგიერთისათვის გაუგებარია. ის შეცდომით გაიგო, მაგალითად, „ვისრამიანის" ისეთმა დიდმა მცოდნემ, როგორიც დოც. ხ. იორდანიშვილი იყო. მის თარგმანში ზემოხსენებული ადგილი ასეა გადმოცემული: Если меч твой остер, — мой меч тоже не из соломы (გვ. 88). ცხადია, მთარგმნელს „ბასრი" გაუგია, როგორც მჭრელი, ხოლო „ბზისა" კი, როგორც ნათესაობითი ბრუნვა სიტყვისა „ბზე".

დოც. ხ. იორდანიშვილი კარგად ფლობდა სპარსულ ენას... თარგმანზე მუშაობისას იგი სარგებლობდა სპარსული ტექსტებითაც; მაგრამ, როგორც ჩანს, სპარსულში, ქართული ტექსტის ამა თუ იმ ადგილის შესატყვისისა და გაუგებრობის შემთხვევაში, იხედებოდა. აღნიშნული ადგილი მისთვის ნათელი აღმოჩნდა და ის აღარ შეუმოწმებია სპარსულით, სადაც აღნიშნული ადგილის სანაცვლოდ იკითხება: თუ შენი ხმალი ფოლადისაგან გაკეთდა, არცა ჩემი ხმალი გაკეთდა ბზისაგან (მაჯუბის ტექსტი, გვ. 143). სპარსულ ტექსტში ბასრის სანაცვლოდ გვხვდება „ფულად", ხოლო ბზისა კი — „შემშად". ცხადია, მთარგმნელს სიტყვა „ფულად" ბასრად გადმოუღია და „შემშად" ბზად. შეიძლება აღინიშნოს, რომ მთარგმნელი ზოგჯერ მის სანაცვლოდ ნაძვს იყენებს (სპ. გვ. 81, ქ. გვ. 73). ერთხელ ვალსამის ხედ არის გადმოღებული (სპ. გვ. 201, ქ. გვ. 161), რაც პროფ. ი. აბულაძის განმარტებით ბალსამის ხეს ნიშნავს. საბას ჩვენებით „ხესა იტყვიან ერთსა, რომლისა მონაკვეთისაგან ჩამოეწვეთების". სიტყვა ბალსამ ანუ ბალსან სპარსულია, რაც ბალზამის ხეს ნიშნავს.

ზოგი ლექსიკონის განმარტებით შემშად წიფლას ნიშნავს. ეს განმარტება ზოგჯერ კლასიკურ პოეზიაში გამოყენებულ შედარებებს არ უდგება.

ჩანს, სიტყვა ბასრი ფოლადს ნიშნავს. ხმალი ბასრი — ხმალი ფოლადი, იგივეა, რაც ხმალი ფოლადისა. სიტყვა „ბზისა" კი, როგორც გაირკვა, ნათესაობითი ბრუნვა ყოფილა სიტყვისა ბზა და არა ბზესი. წარმოდგენილი ადგილი ასე გაიგება: თუ შენი ხმალი ფოლადის არის, არცა ჩემია ბზისა (ე. ი. ხისა), ყოვლად შეუძლებელია, აქ ფოლადს ბზე (ჩალა, დაჭრილი ჩალა) დაუპირისპიროთ. ჩალისაგან რა ხმალი უნდა გაკეთდეს!

„ვეფხისტყაოსნის" ენამ სიტყვები ბზა, ნაძვი, რაც „ვისრამიანში" შემშადის სანაცვლოდაა გამოყენებული, არ იცის. ლამაზი ტანადობისა და სიმაღლის აღსანიშნავად პოემაში გამოყენებულია ხარი (?), კენარი და სხვა მისთანანი.

„ვეფხისტყაოსანში" გვხვდება სიტყვა ბასრი და ბასრისა: ჩემი გაკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ასე (439,3). აქ ხრმალი ბასრი ნიშნავს ფოლადის ხმალს და არა მჭრელ ხმალს. ფოლადის ხმალი, თავისთავად იგულისხმება, მჭრელია. ამიტომ მიეცა სიტყვა ბასრს შემდეგში საუკუნეებში მჭრელის მნიშვნელობა. რუსთაველი მაღალი მხატვრული სტილის პოეტია და მას გაუმართლებელი იქნებოდა ეთქვა: ჩემი მჭრელი ხრმალი გაჭრის, გაკვეთს მათ ხორცსაო. პოემაში წარმოდგენილი კონტექსტი — ჩემი გაკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი — ნიშნავს: ჩემი ფოლადის ხმალი გაჭრის მათსა ხორცსაო.

აგრეთვე, „ვეფხისტყაოსანში" ვკითხულობთ:

ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი ხრმალი ბასრისა მჭრელით (1368, 2). აქაც „ხრმალი ბასრისა" ნიშნავს ფოლადის ხმალს და არა ბასრულ ხმალს.

პროფ. იუსტინე აბულაძის „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონში ეს ადგილი აქვს მოთითებული და მას ასე განმარტავს: ფოლადივით მჭრელი. პროფ. აკაკი შანიძე კი ორ ადგილს უთითებს და ამ სიტყვების (ბასრი, ბასრისა) ასეთ განმარტებას იძლევა: ბასრა ქალაქია სპარსეთის ყურის ახლოს; ბასრისა 1368, 2 ან ბასრი 439,3 ბასრული, მეტად ფხიანი, კარგად მჭრელი.

მკვლევარმა კარგად შენიშნა, რომ რუსთაველთან ბასრი და ბასრისა ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ მათი ახსნა-განმარტება მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს.

„ვისრამიანშივე" ვკითხულობთ: ორთავე ლაშქართა ერთმანერთსა შეეტაკეს, თუ სთქვა, ორნი მთანი ბასრისანი ერთმანეთსა შეეტაკნესო (გვ. 49). სპარსულ ტექსტში (გვ. 46) ორნი მთანი ბასრისანის სანაცვლოდ დუ ქუჰ ფულად (ორნი მთანი ფოლადისანი) იკითხება. ეჭვი არაა, რომ ბასრისა ნიშნავს ფოლადისას და არა ბასრულს. საბას განმარტებითაც ბასრი არის ფოლადი, რკინა.

ცხოველთა და საგანთა სადაურობის აღსანიშნავად „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება ჩვეულებრივი ფორმები. მაგალითად, არაბული წარმოშობის აღსანიშნავად გამოყენებულია სიტყვა არაბული: მის ტაიჭსა არაბულსა, ქვე-ნახამსა, სახუქსა (53,2); ხატაურისათვის — ხატაური: კვლა ხატაური მოავლი, სხვა ხავერდი, სხვა ატლასი (471,2); ხვარაზმულისათვის — ხვარაზმული: კაცსა და ცხენსა ეცვისა აბჯარი ხვარაზმულია (1567,3) და სხვა მისთანანი.

ეჭვი არ არის, თუ რუსთაველს ამ შემთხვევაში სურდა ხრმლის სადაურობა გამოეხატა და იგი ბასრულად მოეხსენიებინა, მას ეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლო გამოეხატა სიტყვით ბასრული, ისევე, როგორც „ამირანდარეჯანიანის" ავტორი (ბასრული ქარავანი) და აღორძინების ხანის მწერლები და პოეტები გამოხატავენ (ბასრული, ბასრული).

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ პოემაში წარმოდგენილი სიტყვები გაბასრება (სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკვირეულა, გაბასრულა, 862,4) გაბასრული (მან მითხრა, თუ: რას ვიტყოდი მოვითომილა, გაბასრულა, 632,2) — ნიშნავს, როგორც ეს განმარტებულია ლექსიკონებში (იუსტ. აბულაძე, აკაკი შანიძე), შერცხვენას, შერცხვენილს, როგორც ძველ ქართულში, და არავითარი კავშირი არა აქვს ბასრი ფოლადთან.

შეიძლება გვითხრან: სხვადასხვა ტექსტში ერთსა და იმავე სიტყვას ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და შეიძლება „ვისრამიანის" ლექსიკური მონაცემები ყველგან არ მიუდგეს „ვეფხისტყაოსანს". მართალია, მეტის თქმაც შეიძლება. არამც თუ სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე ტექსტშიც კი ერთი და იგივე სიტყვა შესაბამისი კონტექსტის მიხედვით სულ სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობით იხმარება. მაგრამ, როცა ჩვენ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის თვალსაზრისით „ვისრამიანის" ფურცლებს ვწვდებით და „ვეფხისტყაოსნის" სახელებში შევდივართ, ამა თუ იმ სიტყვის ხმარების გამონაკლისი შემთხვევები (მათ მნიშვნელობათა თვალსაზრისით) კი არა გვაქვს მხედველობაში, არამედ ის სიტყვები, რომლებიც რუსთაველის ეპოქის სხვა ძეგლებშიც იხმარება და რომელთაც, ჩემი აზრით, ერთნაირი მნიშვნელობა გააჩნია. „ვისრამიანის" მონაცემების ხარჯზე, ვფიქრობთ, მეტი სიცხადე შეიტანება „ვეფხისტყაოსნის" ზოგ სიტყვათა გაგებაში.

ᲛᲘᲓᲐᲛᲝ

სიტყვა **მიდამო** კლასიკური ხანის ტექსტებში საკმაოდ გავრცელებული ჩანს. იგი გვხვდება „ვისრამიანსა" და „ვეფხისტყაოსანშიც". საბას განმარტებით მისი მნიშვნელობაა: აქეთ იქითი.

„ვისრამიანის" მთარგმნელი სიტყვა მიდამოს იყენებს სპარსული გარდ (ირგვლივ, გარშემო, გარემო და სხვ.) სიტყვის გადმოსაცემად. თარგმანში იკითხება: ყარანისა მიდამოსა მოვლეს სხვა დიდებული ჭაბუკი ასოცდაათი ვირისა (გვ. 35). მიდამოს სანაცვლოდ სპარსულ ტექსტში (გვ. 47) იკითხება სიტყვა გარდ. ჩანს, რომ მას მიდამოთ აქცევს. ზოგჯერ სიტყვა გარდ გარემო-დ არის თარგმნილი: მას გარემო დიოდეს სისხლისა ღვარნი (გვ. 50). ამ წინადადებიდან გარემო-ს სპარსულ ტექსტში (გვ. 47) აგრეთვე გარდ შეესაბამება. მაშასადამე, „ვისრამიანში" სიტყვა მიდამოს ირგვლივ და გარემო სიტყვების მნიშვნელობაც აქვს. ზოგჯერ ის, რა თქმა უნდა, აღნიშნავს აქეთ-იქეთ-საც: შეჭირვებისა ზღვასა შიგან ჩამირჩავ იყვე და მისი ღელვა მიდამო გაგდებდა (გვ. 217) და სხვ. სპარსულში ამ მი-და-მო-ს შესატყვისი არა აქვს. იგი მთარგმნელის მიერაა შემოტანილი. წარმოდგენილი ადგილის სანაცვლოდ იქ იკითხება: შენ ჩემი განშორებისა ზღვაში ჩამირჩავ იყავ (და) მწუხარებისა ტალღისაგან დიდი ტანჯვა განიცადე (გვ. 275).

როგორც ვნახეთ, მიდამო აქეთ-იქეთის მნიშვნელობით „ვისრამიანის" ტექსტს ყველგან არ უდგება. ზოგჯერ იგი არ უდგება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ტექსტსაც. მაგალითად, ამ სტრიქონებში:

ველარ გაეწყრნეს, გარდუხდა
მტერთა მი და მო მღვრილი,
არ დარჩა კაცი ცოცხალი
მუნ მისგან დაუფრეწელი (1043,3-4).

სადაც ლაპარაკია ავთანდილის გმირობაზე მეკობრეებთან ომში, გამოთქმა „მტერთა მი და მო მღვრილი" ნიშნავს მტერთა ირგვლივ, გარშემო და არა „აქეთ და იქეთ მღვრილს", როგორც „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონებშია განმარტებული. ამ შემთხვევაში, ცხადია, სიტყვა ერთად უნდა დაიწეროს (მიდამო) და არა დაცილებით (მი და მო). აქვე შევნიშნავთ, რომ პროფ. იუსტ. აბულაძეს სიტყვა მიდამოსათვის („ვისრამიანის" ლექსიკონი) მიჩნეული აქვს აგრეთვე მისი მნიშვნელობა „გარემო", მაგრამ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტისათვის კი ის აღარ გამოუყენებია.

ᲛᲢᲔᲠᲘᲐᲜᲘ, ᲛᲢᲔᲠᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ

სპარსული ტექსტისა და აქედან ქართულის მიხედვითაც, რამინს ვისის სახის ერთი ნახვით მოუდგა მიჯნურობისა ცეცხლი გულსა. დაუწვა ტვინი და გონება წაუღო. ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბლა და დიდხანს უსულ-ქმნილი უგრძნოდ იდგა. სახე გაუყვითლდა, ბაგეები გაულურჯდა, სიცოცხლის იმედი დაკარგა.

რამინის ამ მდგომარეობის შესახებ სპარსულ ტექსტში ნათქვამია: ასე ეგონა ყველა გონიერს, რომ ის ბნედისა ქარმა დასცაო (გვ. 66). თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: ყველას ასრე ეგონა, უცილოდ მტერიანი იყო რამინ და აწ მტერმან დასცაო (გვ. 62), ქართულში აქ მტერი სპარსულ-არაბული სარ' (ბნედა, ავიზნე, ეპილეფსია) სიტყვის მნიშვნელობითაა გამოყენებული. აქედან გამომდინარე მტერიანი ნიშნავს ბნედიანს, ავზნიანს, ეპილეფსიით შეპყრობილს.

სპარსულში ერთგან, როგორც ეს აღნიშნული აქვთ „ვისრამიანის" ტექსტის ახალი გამოცემის ავტორებს — დოც. ალ. გვახარიასა და დოც. მ. თოდუას, ქართული მტერიანის სანაცვლოდ გამოყენებულია ფრაზა დივ ზად მარდ (ეშმაკეული კაცი): გაცლებია და, ვითა ეშმაკეულმა კაცმა, ერთი ოხვრა უცხოდ გულიდან ამოიღო (გვ. 307).

თარგმანში იკითხება: გაცლეის და, ვითა მტერიანმან, დაიხვნა (გვ. 240). უნდა აღინიშნოს, რომ აქ დივ ზად მარდ (ეშმაკეული) არ უდრის მტერიანს. იგი აქ მთარგმნელის მიერაა შემოტანილი და არ წარმოადგენს ეშმაკეულის თარგმანს. მთარგმნელი ამ შემთხვევაში მისთვის ერთხელაც არჩეული ტერმინით (მტერიანი) სარგებლობს (სხვაგანაც დაიძებნება სამისო მაგალითები) და ეშმაკეულს მტერიანი მიუსადაგა. მისი აზრით, კონტექსტს სიტყვა მტერიანი უფრო შეესაბამება, ვიდრე ეშმაკეული. ამ გარემოებათა გამო, ამ სიტყვის არც ნ. მარისეული (бес), არც ი. აბულაძისეული (შმაგი, გაბოროტებული, ეშმაკეული, შეად. ვტ. მტერდაცემული — ეშმაკისაგან შეპყრობილი და გადარეული, გიჟი) განმარტებანი არ შეესაბამება სინამდვილეს.

მტერიანი, როგორც აღინიშნა, ნიშნავს ბნედიანს, ავზნიანს, ეპილეფსიით დაავადებულს და არა შმაგსა და ეშმაკეულს. ამავე დროს ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ მტერიანი და მტერდაცემული. მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ.

სიტყვა **მტერიანი** უცნობია „ვეფხისტყაოსნისათვის", **მტერდაცემული** კი ნაცნობი. ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის გამიჯნურების ამბავს და ამბობს:

ახმით ფარდაგსა აზიდნა,
გარე ვდეგ მოფარდაგულსა,
ქალსა შევხედენ, ლახვარი
მეცა ცნობასა და გულსა.

...

დურაჯნი მიჰხდეს, გავიდე
სხვა ვერა გზალა თავისა,
დავეცი, დავბნდი, წამიხდა
ძალი მხართა და მკლავისა.

...

მე პასუხი ვერა გავეც,
ვით შმაგი, მეჯდა [illegible],
კელი დავეცი დაბნედილი,
გულსა სისხლი გარდმეთხია.

...

სრულნი მეფენი და მეფიშნი
მე გარნე შემომწყდიან,
მათ ხელთა მჭონდა მესაფე,
ყოველნი იკითხვიდიან;

...

ᲛᲢᲔᲠ-ᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ვეგონე,
არ ვიცი, რას მჩმახვიდიან,
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ,
ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.
(გვ. 74-75).

რამინი და ტარიელი, ჩანს, ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. როცა მათ (რამინმა ვისი, ხოლო ტარიელმა ნესტან-დარეჯანი) გულთა დამატყვევებელი არსებანი დაინახეს: ძალა დაკარგეს, დაბნდნენ და უსულოდ დაეცნენ.

ერთი წუთით მივუბრუნდეთ სპარსულ ტექსტს. იქ ნათქვამია, რომ ეგონათ რამინი თითქოს „ბნედისა ქარმა დასცაო". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამინს თითქოს ბნედის ქარი დაეცა (დაეტაკა) და ის ძირს დასცა. ქართულ ტექსტში სურათი უფრო განმარტებულია: ეგონათ რამინი მტერიანი (ბნედიანი) იყო და აწ (ახლა) მტერმან (ბნედამ) დასცაო. ბნედის ქარის თუ მტერის დაცემა, ჩანს, ავადმყოფობის შეტევას გულისხმობს. აქედან გამომდინარე **მტერდაცემული** ნიშნავს ხნეულების შეტევის მდგომარეობაში მყოფს. შეიძლება ესა თუ ის ადამიანი, როგორც ეს საერთოდ ხდება, მტერიანი იყოს (ბნედა, ავიზნე სჭირდეს), მაგრამ არ იყოს მტერდაცემული (ავადმყოფობის შეტევის მდგომარეობაში მყოფი). ტარიელის სიტყვები „მტერ-დაცემული ვეგონე" ნიშნავს არა იმას, რომ მეფისა და მეფიშთ ტარიელი ავიზნით დაავადებული ეგონათ საზოგადოდ, არამედ იმას, რომ ტარიელს თითქოს ავმა ზნემ შეუტია, ბნედისა ქარი დაეცა, ხნეულების შეტევის მდგომარეობაში იმყოფება.

მაშასადამე, მტერიანი და მტერდაცემული ერთმანეთისაგან განსხვავდება. მათ სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნიათ. ეს კი ვერ არის შენიშნული „ვისრამიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონთა ავტორების მიერ.

ᲧᲝᲚᲐ

სიტყვა **ყოლა** კლასიკური პერიოდის ძეგლებში გვხვდება. „ვისრამიანის" ლექსიკონების ავტორები (იუსტ. აბულაძე, ალ. გვახარია და მ. თოდუა) მას განმარტავენ როგორც: საჯდებით, სრულიად, სრულებით. „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონებში (ი. აბულაძე, აკ. შანიძე) იგი ასეა ახსნილი: სრულიად, სრულებით, ყოვლად. საბას აღნიშნული სიტყვა მოცემული აქვს ფორმით ყოლე და მიწერილი აქვს განმარტება: სრულიადსავით.

„ვისრამიანში" გვხვდება სიტყვა ყოლა თუმცა მენ დამეკდარ ვიყავ, მოაბად ყოლა ვერ წაიყვანდა ვისსაო (გვ. 116). სპარსულ ტექსტში ამის შესადარ ადგილას იკითხება (მოგვაქვს ქართული თარგმანი): მე რომ ვყოფილიყავ მაჰის ქვეყანაში, შაჰინშაჰი ვერასოდეს ვერ წაიყვანდა ვისსაო (გვ. 140). ქართული სიტყვა ყოლა სპარსული ჰარგიზ (არასოდეს, არასდროს, თავისდღეში, ვერასოდეს, ოდესმე და სხვ.) სიტყვის სანაცვლოდაა გამოყენებული. მაშასადამე, ყოლა ვერ წაიყვანდა ვისსა, ნიშნავს: ვერასდროს ვერ წაიყვანდა ვისსაო.

უნდა აღინიშნოს, რომ სპარსულში ჰარგიზ სიტყვას დიდ უმრავლეს შემთხვევაში უარყოფის ნაწილაკი მიაცილებს. ასევე ითქმის ქართულში ყოლა სიტყვის შესახებაც. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ „ვისრამიანში" ან სხვა ძეგლში გამოყენებული სიტყვა ყოლა არ შეიძლება „სრულიად", „საჯდებით" და სხვა ამგვარი მნიშვნელობით იყოს ნახმარი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ლექსიკონებში წარმოდგენილი ამ სიტყვის განმარტებანი ყოველთვის ტექსტს არ უდგება. როგორც ჩანს, მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ავიღოთ, მაგალითად, ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან".

მოშაირე არა ჰქვიან,
თუ სადმე თქვას ერთი, ორი,
თავი **ᲧᲝᲚᲐ** ნუ ჰგონია
მელექსეთა კარგთა სწორი (15, 1-2).

ყოლა სიტყვის არსებული განმარტებების მიხედვით მეორე სტრიქონი ასე უნდა გავიგოთ: თავი სრულიად (საჯდებით, ყოვლად) ნუ ჰგონია კარგ მელექსეთა სწორი. „ვისრამიანის" ქართული ტექსტის სპარსულთან შედარების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე „ვეფხისტყაოსნის" ზემოწარმოდგენილი ადგილი ასე გაიგება: მოშაირე არ ეწოდება მას, ვინაც სადმე ერთი, ორი (ლექსი) უთქვამს, მან თავი ნურასოდეს ნუ ჰგონია კარგ მელექსეთა სწორი. ჩემი აზრით, ზემოწარმოდგენილ ადგილს ასეთი გაგება უფრო დამშვენდება. საჭირო იქნება ყოლა სიტყვის იმ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ მივუთითებთ, რუსთაველის პოემის, აგრეთვე სხვა თხზულებათა სათანადო ადგილების გადასინჯვა.

ჯერჯერობით ამით ვამთავრებთ ჩვენს შენიშვნებს „ვისრამიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკაზე.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 800 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

Ლიტერატურული საქართველო 2

ᲝᲗᲮᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ

ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ უყვარს კომედიები. მაგრამ ამ ჟანრის ახალი კარგი პიესები იმაზე ნაკლები გვაქვს, რამდენიც გვინდა. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით მოვეპყროთ იმას, რაც კი ჩვენს კომედიოგრაფიაში გამოჩნდება. ამასწინათ „სოვეტსკი პისატელმა" გამოაქვეყნა თანამედროვე ქართველი დრამატურგის კიტა ბუაჩიძის კომედიების კრებული. ეს კომედიები მარტო საქართველოში კი არ იდგმება, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებშიც.

კრებული „კომედიები" მოხდენილი ყდით გამოვიდა და ეს ნათელი გაფორმება კარგად შეესაბამება თვით ნაწარმოებების სულს. ერთ-ერთ პიესას ახასიათებს ლირიკული ტონალობა, მეორე თავისი ხასიათით ახლოს არის ცხარე ვოდევილთან, ორი დანარჩენი კი სატირული პიესებია, რომლებიც სასტიკად და გონებამახვილურად ამათრახებს იმათ, ვინც ღირსნი არიან მხილებისა. მაგრამ ეს სატირული ნაწარმოებებიც ოპტიმიზმით გამოირჩევა. მათში ჩანს ავტორის რწმენა იმისა, რომ ჯანსაღი საწყისი აუცილებლად იმარჯვებს და ის, რაც ხელს გვიშლის [illegible] მას უნარი აქვს შემსრულებლებს სცენური ხორცშესხმისათვის საინტერესო მასალა მისცეს. ავტორმა იცის წარმტაცი სიუჟეტის აგება, იგი ჰფლობს სცენური მოქმედების განვითარების ხელოვნებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომედიური ჟანრისათვის. კ. ბუაჩიძე თავის ძალას სხვადასხვა ხასიათის კომედიებში სცდის, მაგრამ მის გულთან მაინც სატირაა ყველაზე ახლოს. ამის მაგალითად გამოდგება პიესა „ეზოში ავი ძაღლია".

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა" კ. ბუაჩიძის კომედიების კრებულის გამოცემით კარგი საქმე გააკეთა. გვინდა ვიმედოვნებდეთ, რომ იგი ხშირად გამოსცემს საბჭოთა დრამატურგის ნაწარმოებებს.

Ნ. ᲒᲠᲝᲛᲝᲕᲘ
(გაზ. „პრავდა" № 216).

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ

ᲘᲚᲘᲐ ᲠᲣᲠᲣᲐ

ᲣᲨᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲤᲔ

ისინი დიდხანს მიდიოდნენ. ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით: უცხო ქვეყნიდან ჩამოსული პროფესორი და სვანი — მეგზური.

უკანასკნელი გადასასვლელიც აშთიარეს.

მათ თვალწინ მთელი თავისი დიდებულებით აღიმართა სვანთა მიწის საოცრება — ზვიადი უშბა.

პროფესორი თვალს ვერ აცილებდა ცისფერ ტატნობში შეცურებულ ქათქათა გოლიათს.

— მოგწონთ? — ჰკითხა სვანმა.

— ოო! — მეტი ვერაფერი მოახერხა სტუმარმა. — ოო!..

— მაშ, მიირთვით! — ბრძანა სვანმა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ.

...ლეგენდები მოგვითხრობენ მდიდარ და გულუხვ [illegible].

უთქვამს კი ვინმეს სიტყვა უფრო მეტი, ვიდრე თქვა უშბის მეუფემ?!

ᲮᲣᲚ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲠᲝᲑᲐ

ქალაქში აღმუვლდნენ ლომები; მორთულნი, მოთვინიერებულნი, მაგრამ მაინც ლომები.

ცირკს მიეძალება მაყურებელი...

ბავშვებს [illegible] ძილი...

აფიშები, უზარმაზარი აფიშები იუწყებიან:

„ლომები"...

„ლომები"...

„ლომები"...

იმდენია ეს აფიშა ყველგან — მოედანზე თუ ქუჩაზე, მარჯვნივ თუ მარცხნივ, თავი [illegible] ლომის მოთვინიერებული [illegible]. მწვრთნელის მეფე-მბრძანებელი წინაც რომ გადმოვიხტეს, ალბათ თვალებს არ დაახამხამებს.

ერთ კუთხესთან უნებურად ვჩერდები.

ლომთაგან [illegible] აფიშის კიდე სხვა აფიშას მოუტანია.

„...ომები"...

სულ პატარა, უნებური დაუდევრობის ამბავია.

სასაცილოც კია ასეთ რამეზე წერა.

ალბათ არც დავწერდი. წავიკითხავდი და გავივლიდი. მაგრამ რატომღაც გამახსენდა ჩვენს თვალთაგან დამალული ატომური ბაზები და პოლიგონები; გენერალი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის სამართავი პულტის ყოველი ღილაკის დანიშნულება; ხელი, რომელმაც ამ პულტს ყოველ დღით [illegible].

ოღონდ იქ ნუ იქნება დაუდევრობა, თუნდ სულ პატარა, უნებური დაუდევრობა!

ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ, ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘ

ყველანი მაესტროს ეგებებოდნენ:

— მაესტრო, სალამი!

— მაესტრო, როგორა ბრძანდებით?

— მაესტრო, რა არის ახალი თქვენს რეპერტუარში?..

განა არ ვიცოდით?! დიდი არაფერი! ერთი რიგითი, ეჭვიანი დირიჟორი იყო. მაინც სიხარულით [illegible], ისე გვიხრიდა თავს, თითქოს არტურო ტოსკანინი ყოფილიყოს.

მოულოდნელად გარდაიცვალა.

ინფარქტი!

რატომაც არ გაუსკდებოდა! ვინ იცის, რამდენი უდარდია და უნაღვლია, რომ ვერ მიწვდა მიუწვდომელს. სახელსა და დიდებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქვეყნის რომელიმე თეატრში ერთხელაც არ ღირსებია პულტთან დგომა. [illegible] ორკესტრებში იღვწოდა. ბოლოს ჩვენს პროფესიულ სიმფონიურ ორკესტრში მოიწვიეს, უფრო სწორად — მეორე რიგით დირიჟორად.

თავის დარდს, ალბათ, ვერც აქ გაუძლო.

ყველაზე დიდი დარდი მაინც არ გაჰყოლია თან.

[illegible] ისე, რომ მის ღია სამარესთან ერთი პანდური არ დარჩენილა. ორკესტრანტები კი წინასწარ გაფრთხილებული იყვნენ და, ცხადია, შეპირებულნიც.

[illegible]!

ორად ორი ორკესტრანტი, [illegible], მხოლოდ იმ დროს გამოჩნდა, როცა სამარეს ასწორებდნენ.

ფეხდაფეხ დაბნეულად ლუღლუღებდა:

— სხვებიც ახლავე მოვლენ... [illegible] მორჩებიან.

მაესტროს საქმე მოჩრჩენილი იყო [illegible]. ხალხი იშლებოდა.

აღარ იყო საჭირო ორკესტრი. ვინ დაიგვიანა, ვის უნდა გაეგო?..

ქარს?!

იგი ისედაც ასრულებს თავის დაუსრულებელ რეკვიემს, უსასრულოდ, დაუსრულებლად.

ᲗᲣᲜᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲗ

მეფობას ვინ აღირსებდათ.

დიდებულობას ფიქრითაც ვერ შეხედავდნენ.

ზღაპრებსა და ლეგენდებში კი სხვანაირად მათი ამბავი.

ათასში ერთხელ თვალსაც მოჰკრავდნენ — სალამურად აჰყოლებულნი... კიდეც გვირგვინის კურთხევაზე, ოქრო-ფარჩით შემოსილნი, თვალმარგალიტნი, ზვიადნი და მიუწვდომელნი...

შემდეგ, ღამით, ქოხები [illegible].

სხვა-ბიჭის ფიქრი ისე გათამამდა, ოცნებაში გვირგვინი დაიდგა და სკიპტრა აიღო... საქმეების დაწყება-გარიგება სხვაგა... წარმოიდგინეთ, არც თუ ისე ცუდად გამოუვიდა... სოფლის თავკაცნი თავიდან [illegible] მაინც გაუჭირა გონებამ. ყველას გაუზიარა სამოსახლო და სახნავ-სათესი, ბაღი და ვენახი... გულის სწორსაც აუხილა მრავალი წადილი.

მეორე დღეს სიცილით გაანდო.

[illegible] ამბავი ჰყავს ენაზე დაუმადრებელი? მთელ სოფელს მოსდო.

ჩაიცინებენ სხვებ — მაინც როგორ გაუწვდა მეფობას.

— აი ახლა! — თამამად თქვა ბაბუამ და [illegible] თავზე, ნაბდის ქუდი შეიმწირა, შემდეგ [illegible] ჩაჰკიდა ხელი.

იმანაც დაიშორა, რა კარგად დაიწყონა!

შეუთამაშდნენ სხვებიც.

ყველა შემთხვევისათვის ცოტა ეშმაკობაც იხმარეს — სხვა მეფე კი არ არის, ნუჟარი.

დედოფალი კიდევ დედოფლობდეს, რაც არ უნდა იყოს მაინც ქალია.

მთელი სოფელი ჩაერია ამ ამბავში. სახუმარო-სახერიკო დაემსგავსა ნამდვილს.

ეჰ, ვინ რამდენი უძირდა, სურვილი იყო რამდენი!

უკანდახევა აღარ ეგებოდა მათი ხასიათის ხალხს.

თადარიგიც დაიჭირეს. ჯერ ვითომ სხვათაშორის, შემდეგ — ნამდვილად.

— ბარემ გვქონდეთ! — თქვა ვიღაცამ.

— გვქონდეთ, მაშ არ გვქონდეთ?! — ისე გაუხარდა ხალხმა.

სოფლის მეფედობა მეტი კი არ იყო: „არც მე მაწყენდა კათალიკოსობაო", ისიც გაიფიქრა, სულ ერთია, მეფისა და კათალიკოსის ყურამდე მაინც არ მიაღწევს ეს ამბავი.

დაწყვრა [illegible] ... გვირგვინი.

გამოუფხიზლდა ხალხი.

[illegible] თავში დაჯდეს, როგორც [illegible] მორჩილთა ღირსებას.

გაჩაღდა ლხინი, რა ლხინი!

ამ დღიდან წავიდა და წავიდა...

ნამდვილი მეფე-დედოფლის ყურამდე მიაღწია ამ ამბავმა. აღარ მოჰმალეს. მაინც [illegible] გაანწყრობდნენ. ხალხს წყნარად [illegible].

იქნებ სიბრძნეც არის ამაში.

დიდად, უძლეველად ჩანს ქვეყანა, სადაც ყველას ელის ასეთი პატივი, თუნდ ერთი დღით.

ᲨᲐᲥᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲢᲧᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ

ლაღო, განა განიცდის შიშილს,
რა სჭირს უცებად იმის ჩვენებს!
იცის, არ მქონდეს [illegible] შიში
იროშ — ბუნების ეშხს და მშვენებას.
ო, [illegible], სადაც ხალა!
რისაც ენატრობდა, გამომეცხადა...
ვაი, რა უწყალოდ იყო ლამაზი!
უცებ ვერ მივხვდი ჩემ წინ რა მოხდა,
მაღლა ირიოდ მძლავრი კამარით
გაქრა, გამცილდა სამუდამოდა.
...შენც ირმულ თვალთა [illegible] მღელდე.
წახვედ, მგონია [illegible].
უნებლიეთ ამავსო სევდით,
გამიქრე სევდა, მომანატრელე.
[illegible], ჩემთვის შენ ერთადერთო,
ლოდინის ცეცხლში გული ჩამომწვა.
იმ ირემივით არ გამიქრეთ,
არ დამეკარგო სამუდამოდა.

ᲖᲦᲕᲐ

ზღვას როცა ვხედავ, ვკითხავ ძალიან:
— რა ბევრი წყალია, რა დიდი წყალია!
— წყალია? ეჰ რა სიტყვა, როგორ თუ წყალია!
მზე ჩადის და ზღვაზე მზის ნაღვერდალია.
გაჩნდა, ტალღები რა რიხით მოდიან,
ზღვავ შენ რაც გქონია, მხოლოდ ის როდია!
მე იგი ვერასდროს ვერ ვნახე მშვიდად,
ვინ იცის, რამდენი [illegible].
ზღვა? არის გულისხმიერ, გულისხმიერ დიდი
ბუნების [illegible] სრულიად აუხსნელ გულისა.

ᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲝᲡᲘᲐ

ᲗᲣ ᲮᲐᲠ ᲡᲐᲓᲛᲔ

გრიგოლ აროსიას.

სადაცა ხარ, მუდამ აქ ხარ,
შენზე ფიქრი სულ დამდევს,
იქნებ სადმე ცოცხალი ხარ,
იქნებ სადმე სუნთქავდე?!
იქნებ ციხე ცის მნათობებს,
ერთდროულად [illegible],
პოეზიის მზე გვეთბოდეს,
განშორება [illegible]...

ნეტავ, [illegible] თუ ასე,
ხატერის ღირსი გეგობა,
[illegible] — [illegible] ვარ
შეხვედრის და ხსნის დღეს.
ნეტავ, [illegible],
რას ვინატრებ უკეთესს,
და ჩემს მკერდზე [illegible]
[illegible] მზეც!

ᲓᲔᲓᲐᲝ, ᲛᲘᲬᲐᲕ!

პლანეტებშორის
აღარ არის აღუნიშნული,
დიდება შენი, სიგრძე, სიღრმე,
სიმაღლე შენი,
ბუნებრივია, პირველობაც
ერთადერთი გქონდეს,
თავისუფლებაც ფრთებგაშლილი
შენზე [illegible].

ხარობდეს უნდა ყველა, ვინც
შენს მკერდზე დადის.
დედაო, მიწავ, გლობუსია
ამბავი განდა. —
შენით, სიხარული ჩვენ გაგვაცვე,
თვითონ მზის სწორი,
[illegible] ძლიერს გქონდეს სიდიადე,
[illegible] შორის!

წიგნი ქართული პრესის ისტორიაზე

ქართულ ჟურნალისტიკას საუკუნენახევრის მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. სამწუხარო ფაქტია, რომ ქართულ პერიოდულ გამოცემათა არამც თუ ისტორია, არამედ სრული ბიბლიოგრაფიაც კი არ მოგვეპოვება და მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯი ამ დიდი ეროვნული საქმის ხორცშესასხმელად. თანამედროვე მკითხველის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში უდავოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა ის დიდი და მრავალმხრივ ნაყოფიერი შრომა, რომელსაც ალექსანდრე კალანდაძე ეწევა. ორიოდე წლის წინათ ქართველმა მკითხველმა მიიღო ალ. კალანდაძის ვრცელი მონოგრაფია, რომელშიაც, ძირითადად ახალ მასალებზე დაყრდნობით, შესწავლილი იყო XIX საუკუნის სამოციანი წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა ორგანოს — „საქართველოს მოამბის“ მოღვაწეობის მთავარი საკითხები, მისი როლი ქართული მწერლობის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის განვითარებაში. ახლახან კი „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ალექსანდრე კალანდაძის ახალი ნაშრომი — „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“, რომელშიაც გაშუქებულია გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული ჟურნალისტიკის პროგრესული ტრადიციები.

წიგნის პირველ ნაწილში მოთავსებულია ექვსიოდე ნარკვევი, რომლებიც მკითხველს აცნობს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ჟურნალისტების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ნარკვევების ავტორი, ახალი საარქივო მასალებისა და უცნობი თუ მივიწყებული ფაქტიური ცნობების მოშველიებით, ახასიათებს ქართული პრესის უანგარო და ჩუმ მუშაკებს: პეტრე უმიკაშვილს, ნიკოლოზ ყიფიანს, ივანე მესხს, ბესარიონ ჯაფარიძეს, დავით მჩედლიძესა და დიმიტრი ყაზბეგს, რომელთა ცხოვრებისა და ჟურნალისტური მოღვაწეობის ბევრი მხარე თითქმის უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ნაშრომის ავტორს სიყვარულით აღუდგენია იმ დროის გამორჩეულ, ახლა თითქმის მივიწყებულ მწერალთა და ჟურნალისტთა პორტრეტები, დაუხასიათებია მათი საზოგადოებრივ-ლიტერატურული საქმიანობა.

ალ. კალანდაძის ნარკვევების მეორე და უმთავრესი ნაწილი მიძღვნილია ჟურნალ „კრებულისადმი“ და გარკვეულია ამ ჟურნალის როლი მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის, საზოგადოებრივი აზრისა და, საერთოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

ჟურნალი „კრებული“ ორგანულად არის დაკავშირებული მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის რეალისტურ ტრადიციებთან. იგი თავის ფურცლებზე ასახავდა იმ ძვრებსა და მოვლენებს, რაც ხდებოდა გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულ ლიტერატურასა და აზროვნებაში. უდავოდ სწორად აღნიშნავს მონოგრაფიის ავტორი, რომ „მართალია, „დროება“ და „მნათობი“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ „კრებულს“, მაგრამ პრინციპულ პრობლემათა ყოველმხრივი ანალიზი, აგრეთვე მათი გადაწყვეტის მასშტაბის გათვალისწინება ცხადყოფს, რომ „საქართველოს მოამბის“ პირდაპირი მემკვიდრე სწორედ ეს ჟურნალია. მასში მთელი სისავსით შენარჩუნებულია და განვითარებულია თერგდალეულთა პირველი გამოცემის დემოკრატიული ტრადიციები“. მართლაც, კრიტიკულმა რეალიზმმა და განსაკუთრებით თერგდალეულთა მხატვრულ-პუბლიცისტურმა შემოქმედებამ აღნიშნულ პერიოდში იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით დიდი გავლენა მოახდინა ქართული მწერლობის განვითარებაზე.

განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევარის ძიება ჟურნალის რედაქტორისა და ამავე ჟურნალის პერიოდულობის გარშემო. როგორც ცნობილია, თითქმის ყველა მკვლევარს „კრებულის“ პირველ რედაქტორად გიორგი წერეთელი მიაჩნია, ან — გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე. მონოგრაფიის ავტორი მრავალი გამოუქვეყნებელი თუ გამოქვეყნებული მოგონებების, პირადი წერილებისა და სხვა დოკუმენტების საშუალებით არკვევს, რომ ჟურნალ „კრებულის“ დაარსების თაოსნობა ეკუთვნით სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძეს, ხოლო მისი პირველი რედაქტორი იყო ნიკო ნიკოლაძე. ეს უკანასკნელი მას რედაქტორობდა 1871 წლის აპრილამდე ე. ი. „კრებულის“ ჟურნალად გამოცემაზე მთავრობის ნებართვის მიღებამდე, როცა იგი გაზეთ „დროების“ დამატების სახით გამოდიოდა (პირველი ოთხი ნომერი). მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ პერიოდში „კრებულის“ რედაქტორება ფორმალურად იყვნენ გიორგი წერეთელი და შემდეგ — კირილე ლორთქიფანიძე, ნაშრომის ავტორის დასაბუთებული მტკიცებით „არსებობის მთელ პერიოდში, 1870 წლიდან 1873 წლის ბოლომდე, „კრებულს“, თითქმის განუწყვეტლივ, სათავეში ედგა ნიკო ნიკოლაძე; ამ დროისა, როცა ოფიციალურ რედაქტორებად გ. წერეთელი და კ. ლორთქიფანიძე ითვლებოდნენ, ჟურნალის ფაქტიური გამომცემელი და რედაქტორი ნ. ნიკოლაძე იყო. „კრებულის“ 22 ნომრიდან 19 უშუალოდ ნ. ნიკოლაძის მიერ არის მომზადებული და დაბეჭდილი“.

ჟურნალ „კრებულში“ განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი პუბლიცისტიკა. ალ. კალანდაძე ჟურნალში მოთავსებული პუბლიცისტური წერილების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ნათლად აჩვენებს, რომ მასში მოღვაწე ავტორების მსოფლმხედველობა, ესთეტიკური იდეალები და ეროვნულ-სოციალური ბრძოლის მიზანდასახულობა, მისი იდეური მიმართულება ზუსტად შეესაბამებოდა ეპოქის მოთხოვნებს. ნიკო ნიკოლაძის და მის თანამოაზრეთა პუბლიცისტიკის ანალიზისას მონოგრაფიის ავტორი ნათლად აჩვენებს თუ როგორ სიღრმისეულად ესმოდათ ეროვნული და სოციალური საკითხი, რა განსაზღვრავს ამა თუ იმ პრობლემის განსაკუთრებით წინ წამოწევას და ქართველი ხალხის ცხოვრებაში მიმდინარე ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, როგორ გარკვეულ ევოლუციას განიცდის იგი. განსხვავებით „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნობისა, ჟურნალ „კრებულში“ ყოველი წერილი ერთ რომელიმე თემას, ერთ გარკვეულ საკითხს ეძღვნება. მასში გაცილებით ფართოდაა წარმოდგენილი მიმოხილვები და საერთაშორისო ქრონიკა, პოლიტიკური მიმოხილვა, თეორიული წერილები, ნარკვევები და ა. შ. „მრავალმეტყველია ის ფაქტი, რომ „კრებულის“ პირველსავე ნომერში ნ. ნიკოლაძემ საპროგრამო ხასიათის წერილი „საახალწლო“ ნ. გ. ჩერნიშევსკის ვრცელი ციტატით დაიწყო და „რა ვაკეთოთ“ სიტყვებით წარმოგვიხატა ამ ჟურნალის წინაშე მდგომი რწმენა მომავალზე! ავტორის მიუთითებლად (რადგან ჩერნიშევსკის სახელის ხსენება აკრძალული იყო) ქართველ პუბლიცისტს ვრცელი ამონაწერი მოჰქონდა „ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმრიდან“. მონოგრაფიის ავტორის მართებული დასკვნით, ჟურნალ „კრებულში“ მოთავსებული პუბლიცისტური სტატიები მთავრობისადმი ოპოზიციით და სამშობლოს ინტერესებით. თავისი იდეური კავშირით „სოვრემენიკთან“ და დიდი რუსი განმანათლებლების ნააზრევთან, ჟურნალი წინადად იბრძოდა და მაღლა სწევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშას, თანამიმდევრულად ამხელდა ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. „კრებულმა“ გააღრმავა და განამტკიცა სოციალური და ეროვნული იდეალების ის განუყოფელი ერთიანობა, რომელიც „საქართველოს მოამბის“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საძირკვლად გამოიცხადა.

მხატვრული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით ჟურნალ „კრებულს“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მან შეამჭიდროვა ჩვენი მწერლობის საუკეთესო ძალები, მიიზიდა ახალგაზრდა შემოქმედნი, ქართველ მკითხველებს მიაწოდა და გააცნო რუსული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები. ჟურნალის დიდი დამსახურება ის იყო, რომ მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა არა მხოლოდ რუსული და ევროპული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, არამედ თანამედროვე რუსი და ევროპელი მწერლების ნაწარმოებები. თანამედროვე და კლასიკური ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების: ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, ვ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, გ. წერეთლისა და სხვათა გვერდით ჟურნალ „კრებულის“ ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. დობროლიუბოვის, ნ. გოგოლის, ალ. გარცენის, შექსპირის, მოლიერის, გოეთეს, ვ. ჰიუგოს, ვოლტერის, ბაირონის, ჰ. ჰაინეს, ჟორჟ ზანდის, ერკმან-შატრიანისა და რუსეთისა და ევროპის სხვა გამოჩენილ შემოქმედთა მხატვრული ნაწარმოებები. ალექსანდრე კალანდაძე ცალკ-ცალკე და საფუძვლიანად განიხილავს ჟურნალში წარმოდგენილ ორიგინალურ და თარგმნილ პროზას, პოეზიასა და დრამატურგიას.

მეტად დიდი და შრომატევადი მუშაობა გაუწევია ალ. კალანდაძეს ჟურნალ „კრებულში“ მოთავსებული ფსევდონიმებისა და ანონიმი ავტორების ვინაობის გასარკვევად და დასადგენად. იგი დიდი სიფრთხილითა და მეცნიერული სიზუსტით ხსნის მთელ რიგ ფსევდონიმებს და ფრიად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს ცალკეულ ანონიმ ავტორთა ვინაობის გარშემო.

მონოგრაფიას თან ერთვის ბიბლიოგრაფიული მასალა, ჟურნალ „კრებულის“ ყველა ნომრის გამოსვლის თარიღი და ცალკეული ნომრის შინაარსი.

ალექსანდრე კალანდაძის ვრცელი მონოგრაფიული „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“ ნაწილია იმ დიდი შრომისა, რომელსაც ავტორი წლების მანძილზე ეწევა ქართული კულტურის ამ ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი დარგის შესწავლის საქმეში. ნაშრომი დაწერილია მშვენიერი ქართული ენით, მას თავიდან ბოლომდე გასდევს მეცნიერული სიზუსტე, პრინციპულობა და საკვლევი საკითხების ყოველმხრივი შესწავლა-დამუშავება. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისადმი მიძღვნილ იმ მცირერიცხოვან ნაშრომთა შორის, რომელიც ჩვენ დღეს მოგვეპოვება, იგი უდავოდ საპატიო და მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს. მას სიამოვნებით მიიღებს და გამოიყენებს როგორც ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველი, ისე ფართო საზოგადოებრიობა.

ნოდარ ალანია

ოთარ შალამბერიძე

ყური უგდე, რომანტიკა!..

უფრო მაღლა,
უფრო მაღლა,
მაღლა უნდა იფრინო,
შევარდენო —
შენ, მეოცე საუკუნის გვირგვინო!
ვაჟთა ზეცის მბრძანებელი,
მზის სამოსს რომ იცვამს;
ვარსკვლავების მწვანე მტვერი
დააბერტყე მიწას!..
უფრო შორს და
უფრო ზევით,
უფრო ზევით გაქანდი;
ნისლიანი მარსი გელის,
მოევლინე [illegible].

მშვიდობის რტო დარგე იქაც,
ზეთისხილის მწვანე რტო;
ყური უგდე, რომანტიკა,
კოსმოსის კამერტონს!..
უფრო მაღლა,
უფრო მაღლა,
მაღლა უნდა იქროლო,
შევარდენო —
რვაასი წლის რუსთველის სტრიქონო!
ამოფრინდი ხომალდიდან,
უკვდავება მოგძახის!
გმირებს დახვდი, რომანტიკა,
მთვარის თეთრი ოქროთი!

სიცოცხლე როგორ არ მიხაროდეს!

რომ არ ვიცოდე ფასი ცხოვრების,
რომელიც უნდა მქონდეს ცხოვრებას,
სურვილი ერთხელ გაცისკროვნების,
ყველა მოკვდავს რომ მოეთხოვება;

რომ არ მხიბლავდეს ზოგჯერ
ცთუნებაც
თავის ხიბლითა და არჩევანით;
რომ არ ავსებდეს ჩემს წილ ბუნებას
ჩემი ბავშვობის ლურჯი ნაქერალი;

რომ არ მტანჯავდეს სიტყვა უბადლო,
სიტყვა, რომელშიც მუდამ ფერს
იცვლის
მორთოლვარე ხელის ღიერი გუმბათი,
შეუცნობელი ჩემი ფერმისათ;

რომ არ მკაწრავდეს სხვისი ცული,
(ახლო ტკივილებს არც გავექცევი!)
რომ არ ვიხილავე ტრფობის ბეგარას
ჩუმად ჩავლილი ჩემი ლექსებით;

რომ არ მძერიდეს ქალის ქალობის
და უკმარობის დარდი არ მკლავდეს;
რომ არ მიყვარდეს წელიწადობით,
რაც შესაძლოა წამში გათავდეს! —

დამაქანებდა დრო აქამომდე
და ჩავრჩებოდი ხევში თოვლივით...
სიცოცხლე როგორ არ მიხაროდეს
ასე ტკბილი და პირგამოვლილი!

კაფე წვიმაში

ყავის სურნელი დგება გარშემო,
და ფინჯნებიდან ამოდის ბოლი.
გარეთ ისევ წვიმს და უსაშველოდ
წკრიალებს წვიმის წვრილ-წვრილი
ბროლი.

წვიმაში ფიქრი ხართხმ კვირტივით,
უფრო მძიმდება ნოტიო ჰავა.
წუხანდელ ღამეს ნუღარ მისტირი,
უძილო ხარ და დალიე ყავა.

ხელისგულს ათბობს ცხელი ფინჯანი
და ერთანტელი გიყვარს ხალისით.

გუშინდელ დღეზე ნუღარ იქავრებ,—
წარსულია და ივლის თავის გზით.

წავიდა ისიც... ბედის წინაშე
ნისლს გამქრალა მეფლარის ხმები;
წავიდა ისიც— ხელ საწვიმარში
როგორ გითრთოდა შიშველი მხრები.

ახლა კაფეში ზიხარ მოწყენილი,
და ფინჯნებიდან ამოდის ბოლი.
გარეთ ისევ წვიმს და უმოწყალოდ
წკრიალებს წვიმის წვრილ-წვრილი
ბროლი.

„ხმელი წიფელი“

მოქანდაკე დიმიტრი ყიფიანს

მძიმეა მიწა? — დედას ვკითხავდი,
უფრო მძიმეა ყრმობის კითხვები...
დედაო მიწავ, ისე მიყვარდა
შენი დუმილი წაუკითხველი!

როგორ ამოჩრდი სხეულს სიღრმიდან,
როგორ განუვრცობ ალერსს
ჩრდილივით...

დედაო მიწავ, მუდამ მიყვარდა
ჩემს ბავშვობაში შენზე ჩივილი!

შენ გიჩიოდა ლეიძლი შენივე,
კლავდა ტკივილი განუკურნელი.

შემოდგომაა შენ ტანს მშვენიერს
დამარცხებული საუკუნენი!..

მერე ბავშვობა გადაიკვირტა,
წლებიც დაფრთხნენ, როგორც
ფურცლები;
დედაო მიწავ, მაინც მიყვარდა
შენი სახება ნარშეუცვლელი!

ძირფეს გაწოვებს ქალი მარადი,
მძიმე წარსული არ გაგბერებს!
და უკვდავების შუქი დანათის
შენს ტოტებს, როგორც ჩამქრალ
კოცონებს!

სოსო იორამაშვილი



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი სოსო იორამაშვილი.

სოსო (იოსებ) მაქსიმეს ძე იორამაშვილი დაიბადა 1904 წლის 31 დეკემბერს, ქარელის რაიონის სოფელ დირბში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1923 წელს თბილისში ჩამოვიდა და ტრამვაის თბოელექტროსადგურში ნახშირის გადამზიდავ მუშად დაიწყო მუშაობა. შემდეგ არმიაში გაიწვიეს, საიდანაც 1928 წელს დაბრუნდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა.

ს. იორამაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და გამომცემლობებში.

ს. იორამაშვილი სამამულო ომის მონაწილე იყო. იგი ჯერ ოცეულს მეთაურობდა, ხოლო შემდეგ ასეულს. არმიიდან 1946 წელს დაბრუნდა და შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ს. იორამაშვილმა ბევრი საინტერესო მოთხრობა გამოაქვეყნა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. 1954 წელს ეს მოთხრობები ცალკე წიგნად დაიბეჭდა („ვერხვის ჰალაში“). ამას მოჰყვა სხვა საბავშვო წიგნები — „კარავი მტკვრის პირას“, „ჩაბა ელიაური“ და სხვ. სოსო იორამაშვილი ხალხურ ენას დაწაფებული კარგი მოქართულე იყო. მის ნაწარმოებებში ყურადღებას იქცევს ლაღი და ბუნებრივი თხრობა, ცოცხალი, საინტერესო სიუჟეტი, სადა და ნათელი სახეები.

ს. იორამაშვილი განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. მან შექმნა მოთხრობების რამდენიმე კრებული („ნაცნობი სახე“, 1958 წ., „მოთხრობები“ 1960 წ., „დუნიაური ზღაპრები“, 1962 წ., „ბრძოლაყაური“, 1964 წ. 1962 წელს ს. იორამაშვილის მოთხრობები ცალკე წიგნად დაიბეჭდა რუსულ ენაზე). სულ ახლახან წიგნის მაღაზიების ვიტრინებში გამოჩნდა მწერლის ახალი წიგნი „მოთხრობები“. მწერალს დაუმთავრებელი დარჩა ვრცელი მოთხრობა „გაღმა ვენახი“.

ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ს. იორამაშვილის მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც ნათლად იგრძნობოდა მწერლის მახვილი თვალი, ჩვენი სოფლისა და ბუნების საუკეთესო ცოდნა.

მართალი და მოკრძალებული ადამიანი, მოსიყვარულე და ერთგული მეგობარი — ასეთად იცნობდნენ სოსო იორამაშვილს ახლობლები და ამხანაგები.

სოსო იორამაშვილმა გვიან აიღო ხელში კალამი, რომელიც ასე ნაადრევად დააგდებინა სიკვდილმა. მაგრამ მან მაინც მოასწრო ეთქვა ის, რითაც მუდამ ცოცხალი დარჩება მეგობრების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

ბიძინა მინდაძე

* * *

უსხო ქალაქში დავეხეტები
და სიმყუდროვეს წყნარ ქუჩებს
ვუღლევ...
სახლები, როგორც თეთრი მტრედები,
შეეტყებიან მოწოლილ ღრუბლებს.

ზღვიდან კი ისევ უბერავს ქარი
და ზღვის ტალღებზე ირწევა გემი.
მე ძლიერ მომწონს ქალაქი ღამით
და ნაწვიმარი ქუჩების ფერი.

თითქოს ხსოვნაში სტრიქონი ჩამრჩა
და ვიმეორებ ერთდაიმავეს,

მე კვლავ ზღვისკენ მივდივარ
ზღვასთან
და სხვა გზა არ მაქვს, როგორც
მდინარეს.

ძველი ჯებირი ვერ უძლევდება
ტალღას, ბიჭივით ახტის და თამაშობს...
და ნათურების ანარეკლები
ასფალტზე გართხმულ მედუზებს
გვანან.

მე ძლიერ მომწონს ქალაქი ღამით
და ნაწვიმარი ქუჩების ფერი...
ზღვიდან კი ისე უბერავს ქარი,
თითქოს სევდიან სიმღერას მღერის.

ალავერდი

გადაიწვა ღრუბელთა ფარდა,
გადაიშალა ჩემი წარსული...
შორიდან ვჩანდი და თეთრად ვჩანდი
ვით ალაზნის თეთრი ასული.

ვიწრო სარკმელზე ტყდებოდა შუქი,
სანთლებით ხელში მანდილობდნენ
სათქმელს...
მე თავად ვგავდი კახეთის გულში,
კახეთის მხსნელად ანთებულ სანთელს.

გადაიარეს მშფოთვარე დღეთა
და შემოლესეს თეთრად კედელი...

გადეკრა ლიბრი თვალებზე ფრესკას —
მე ყოველივეს ვიყავ მხედველი.

ახლა მახარებს, შენ რომ მოხვედი,
და მოიგონე ჩემი წარსული,
თუ მე შორიდან როგორ მოვჩანდი,
ვით ალაზნის თეთრი ასული.

ცისკენ მიმირბის მაღალი ტანი,
სხეული თეთრი, ვით მარმარილო...
შენს შესახვედრად ღია მაქვს კარი
და ვარ დაყრილი პურზე მარილი.

* * *

მზე მირბის მთებში და ღრუბლებს
ერთვის,
არაგვს გაჰყურებს ბებერი ციხე.
გზა მირბის მთებში ზოლივით თეთრი
და გზას მანქანა ბორბლებზე იხვევს.

მე სულ მარტო ვარ და შენზე
ვფიქრობ...
მე შევეჩვიე და მიყვარს ასე...

შენი ლამაზი ხელების სითბო
თოვლის ზოლივით გაირბენს გზაზე.

თოვლი კი დნება და [illegible]
გაზაფხულს წყალი რჩება მძინარე...
და წარმართული შენი სახელი
ბარში ყვირილით მიაქვს მდინარეს.

ზღაპარი სინამდვილისა

ნოდარ შამანაძე

მოთხრობა

უცნობ მარაგზას გულადრენილი მიუძღვებოდა. ის-ის იყო ფოლკლორული ექსპედიციის ხელმძღვანელმა დამიბარა და კარგა გვარიანადაც შემახურა:

— ავე რეგვენურივით წარმმეკრული გან-გან რომ დადიხარ, ამ უცხო სოფელში გულს ვინ გადაგიშლის, ვინ რას ჩაგაწერინებს?! მიდი მოქეიფეებთან, გამოელაპარაკე, გაუშინაურდი, დაიახლოვე, თუ ერთხელ ენა აუხსნათ და ლაპარაკის საღერღელი აეშალათ, მერე, მოგცემ ლიტრა, წყალმოწყვეტილი წისქვილივით ველარ გააჩერებ, სანამ მთელ თავიანთ რეპერტუარს არ ჩამოგიქცევენ, არადა, იცლი იღლიაში ამოჩრილი ცარიელი ბლოკნოტებით...

კარგად შემოლობილი ეზოდან ბავშვის გაბმული ხითხითი მოისმა. ქვაზე შევდექი და გადავიხედე. ახლად წამობიბინებულ მოლზე თეთრწვერმოშვებული ბერიკაცი ფეხმორთხმით იჯდა და ხუთიოდე წლის ბიჭუნას ეთამაშებოდა. იქვე შორიახლოს [illegible] ქალი კვიწიაში ლობიოს არჩევდა.

— როგორ იქნება, ამ მოხუცმა ცოტაოდენი რამ მაინც არ იცოდეს-მეთქი, — გავიფიქრე და ჭიშკარი ისე მოურიდებლად შევაღე, თითქოს იმ ოჯახის ხშირი სტუმარი ვყოფილიყავი.

პირველად ქალმა დამინახა; წამოდგა და ბერიკაცს რაღაც გადაულაპარაკა. მოხუცმა მომხედა და წამოდგომა დააპირა. მარჯვენა ხელზე დაებჯინა, მერე მარცხენაც მოიშველია; ეწვალობდა, სხეულის სიმძიმეს ველარ ერეოდა...

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! — მივაძახე და ფეხს მოვუჩქარე.

— ასე დაბრძანდეს მისი მოდგმა, ვინც მე ამ დღეში ჩამაგდო, — ამოიხვნეშა ბერიკაცმა და ნახევრად წელათრეული ისევ დაჯდა.

მივესალმე, ის კი ველარ ვკითხე, რომელ ბრძანდებით-მეთქი. ქალმა სკამი გამომიტანა და მორიდებით წინ დამიდგა.

— ჰა, რა სიკეთე დაიჭირა ამ ოჯახმა, დაჯდა ნათესავო! — წამოვიძახე დაუფიქრებლად, მინდოდა საუბრის ანკესი გადამეგდო.

— კარგია, მაგ კიდევ დავინახეთ, — თქვა ბერიკაცმა. — ამას წინეებზე ცა ფეხებზედ ჩამოდიოდა; დაგვილია ყველაფერი. ეს ლარიანობა ახლა ყანებისთვის სულზე მისწრებაა: სიმინდი მუხლს აიყრის, ვენახსაც მოუხდება...

— წელს კარგი პირი უჩანს მოსავალს; ზღვის ტალღებივით ირწევიან ყანები, — ჩავერიე ლაპარაკში.

— კაცი მჭირდა და ღმერთი იცინოდა. ჯერ რა ვიცით; — მითხრა ბერიკაცმა და თან ბიჭუნას გადაუსვა ხელი.

— კარგი ბიჭი გყოლიათ. ალბათ შვილიშვილია? — შევეცვალე გეზი საუბარს.

— შვილიშვილს ვილა მოესწრება; ეს შვილია ჩემი, — ამოიოხრა მოხუცმა. ერთხანს დუმდა. მერე პირმშოს მხარში ჩაჰკიდა ხელი, სათუთად შეახედა და მითხრა: — არა მგავს თუ?! მგავს, ამა, არა! ამის ხნისაც რომ ვიყავი, ჩემი ბაბუა მეგონება. ისე, შავი ვყავდი; ეს კი, შენც ხედავ, ჭერაა... არც დედამისია... რა ვიცი ბავშვი ვის გამოჰგავს.

— პა, დაიწყებს კიდევ თავისებურს, — გაბრაზებით თქვა ქალმა და სახლისკენ წავიდა.

— ჩვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს თუ იცნობ? — მკითხა უეცრად ბერიკაცმა და პასუხს არ დაელოდა, განაგრძო: — იცი რა თეთრია?! რაღაც, არ მიყვარს ის კაცი! ჩემთვის კი არაფერი დაუშავებია, მარა... თეთრგვრემიანი კაცი არ ვარგა. ქალი კიდევ, ჰო! ვაჟკაცი შავტუხა უნდა იყოს. ჩემი ბალღი ზრდაში რომ წავა, გაშავდება. აი ნახე, თუ არ გაშავდეს. მე დამემსგავსება. იერი ახლაც ჩემი აქვს. ჩემი შვილია და ამა ვის ემგვანება, ჰა?!

ცერიდენა გვერდა მოხუცს მუხლებზე და ხითხითით მიყურებდა. სალოკი თითი ისე ჰქონდა პირში, თითქოს გამოღება უნდა და ვერ ახერხებსო. ჭუჭყიანი პერანგი ჭიპამდე სწვდებოდა, მოკლე შარვალი კი ჩავარდნაზე ჰქონდა. ტიტლიკანა მუცელზე მზე მიეკვრებოდა და თუ კარგად არ დაუკვირდებოდი, პერანგის გაგრძელება გეგონებოდა.

— შვილი პირდაპირ თქვენი გამოჭრილია; ცხვირიც თქვენი აქვს... ალიკვალი მამაა, არ უნდა ლაპარაკი, — ვთქვი დარწმუნებით, თუმცა მათ შორის მსგავსების ნიშანწყალსაც ვერ ვხედავდი.

— ხომ კი?! — წამოიძახა გახარებულმა მოხუცმა, — ამიტომ არის კარგი თვიან კაცთან შეხვედრა. განათლებულის ერთი სიტყვა მილიონი ღირს. იგი რომ იტყვის, წყალი არ გაუვა.

— ბრძენი კაცის სიტყვა არანაკლებ ძვირად ფასობს, — ვთქვი მე და რადგან დრო ვიპოვე, მისვლის მიზეზიც შევახსენე.

— ასე იგი ზღაპრებისა და არაკების ჩასაწერად ჩამობრძანდით, არა?! — მკითხა ღიმილით ბერიკაცმა და მცირე ჩაფიქრების შემდეგ განაგრძო: — რაღა ზღაპრები რა, ნამდვილ ამბებს გეტყვი; ეს არ სჯობია?!

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — ვუთხარი მე და ფანქარი მოვიმარჯვე.

მოხუცმა ჩაახველა და დაიწყო:

— ამ ჩემს მოწყენილ ეზო-კარებს რომ უყურებ, აქ ოციოდე წლის წინათ უნდა გამოგევლო... ჭუჭრუტანებით ბიჭებს მაყვდნენ, ეგ თვალს არ ენახვებოდნენ. ახლა გოგოებს აღარ იტყვი?!... ჰოდა, ომი რომ დაიწყო, უფროსი ბიჭი მაშინ საზღვარზე იმყოფებოდა. სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა. უკანასკნელად ცნობები თბილისთან დაწერილი ქაღალდი მოგვივიდა. ის იყო და ის, იმის შემდეგ ველარც ავი გავიგეთ და ველარც კარგი. ასე წინილასავით დამეკარგა ვაჟკაცი...

...აქეთ ამ ბიჭის დარდი მკლავდა და პირველსავე მობილიზაციაზე მეორე ბიჭიც წავიდა.

— ღმერთო, ეს მეორე მაინც მაინც არ დამიკარგო, — ამოიკვნესებდა საბრალო დედაკაცი.

— თუ სთხოვ, ბარემ ორივეზე სთხოვე! — ჩავუღრიალებდი მე.

— ღმერთს თუ ჩემი თხოვნა ესმის... — შეჩყოდა ქვითინით.

და ისე მოხდა, ი დალოცვილმა ღმერთმა დაწყვარზე მეტად გადაგვასხა. უფროსი გოგო რაიონის ცენტრში ექთნად მუშაობდა და ახლაც არ ვიცი, ჯარში ისე უცებ როგორ ამოყო თავი. ყოველ უქმედღეს ჩვენთან იყო. უკანასკნელ მამათა-კვირას თვალები გზაზე ყურებით ამოგვილამდა. მერე ის იყო ფრონტიდან ბარათი მოგვიტანა. შიგ ეწერა იყო, სამხედრო ფორმაში გამოჭიმული ჩვენი გოგო მეგერის ხელში. როგორ უხდებოდა, იცი?!

მოხუცს უკანასკნელ სიტყვებზე ენა შეებორკა. შევატყე, ყელში მომდგარი ცრემლები აღრჩობდა. მაგრამ არ იმჩნევდა, ცდილობდა სათქმელი გადაეუჩქარებინა.

— შენს გაზრდას, წყალი დამალევინე, — უთხარი ბიჭუნას, პირი რომ დაეღო და ხან მე მიყურებდა, ხან მამას.

— წაეგნებულდა, შვილო, დედამისს უთხარი და მოიტანს, — ჩაუჩურჩულა ბერიკაცმა და ისევ მე მომიბრუნდა: — ჰო, იმას მოგახსენებდით... ჰ გოგოც წაიყვანეს და წაიყვანეს... ისე, დიდი უბრალო კი ყოფილა ადამიანი, — ცივად ჩაიქირქილა მოხუცმა, — ბიჭებს ხანდახან თუ ვამიქენებდით: სულ გოგო და გოგო! კაცი ძაღლივით ამტანია, მაგრამ ქალი? რა ქნას ქალმა?! სად ფრონტი და სად ქალი!

წერაში გართულს დიასახლისი შეუმჩნევლად წამომდგომოდა.

— მოთმინეთ, ბატონო! — მომაწოდა წყალი და მერე ბერიკაცს დაუღრიალა: — ნუ მოაბეზრე თავს ამ უცხო ადამიანს შენი ოჯახის ამბებით. გეუბნები ახლა, სხვა რამეზე ილაპარაკე! შემდეგ მე მომმართა და ბოდიში მოიხადა: — სხვაფრივ არ ჩამომართვათ, ბატონო! რა ქნას, დარდში გამოძეხვარი კაცია, მაგის ცოდვით ქვას ცეცხლი ეკიდება. ჩვეულებად აქვს: უცხოს ნახავს თუ არა, თავის უბედურებას მოუყვება. რომ შეეძლოს მთელ ქვეყანას ჩამოივლის და დიდს და პატარას საკუთარ ჭირვარამს გაუზიარებს...

— თქვენ რა საბოდიშო გაქვთ... ბოდიშს მე ვიხდი, ქალბატონო, დაუკითხავად შემოვეჭრით. მაგრამ რა ექნათ, ასე რომ არ მოვიქცეთ, ვინ რას გვეტყვის, ვინ რას ჩაგვაწერინებს, არადა, გვინდა, რაც შეიძლება მეტი ხალხური ლექსი თუ ზღაპარი მოვკრიბოთ, შთამომავლობას შევუნახოთ...

— ზღაპრებს იწერთ?! — გაიკვირვა ქალმა და სიცილით დასძინა: — კარგ ადგილას მოსულხართ; თქვენ წერა შეიძლებით და ჩემს ბერიკაცს ზღაპარი არ დაელევა!

მოხუცი დუმდა. ეტყობოდა, ფიქრებს წაეღო.

— ჰა, რას ვამბობდი?! — წამოიძახა უცებ შეშფოთებულმა. ბლოკნოტში ჩავიხედე და უკანასკნელი ფრაზა შევახსენე.

— ერთადერთი ბაღანაღა შეგვრჩა. აფსუს, რა გოგო მყავდა ეს უფროსი?! ბიჭს ჯობდა, ბიჭს! — აქ კი ველარ შეიკავა თავი მოხუცმა და წვერზე წვრილი ცრემლი ჩამოუგორდა...

— სამი შვილის დარდს ისლა ვუძლებდით. რომ გავიფიქრებდი, ძირძველიანად მოვითხარეთ და ეს არის-მეთქი, [illegible] ჩემს და ხელიდან წასული გული ისევ მომიბრუნდებოდა...

ომი კი დასასრული არ უჩანდა. პირველი ბიჭის დაკარგვის რომ ჟღურდით, შეწყდა მეორის წერილებიც. ველოდით და ველოდით, მაგრამ ჩაბარებში არ ისმოდა. ნეტამც სულაც არაფერი გაეგეგნა, ისევ უკეთესი იქნებოდა... მივიღეთ შავი თეთრზე ნაწერი, კონტუზიანი საავადმყოფოში [illegible], ფრონტისთვის ზურგის ბარკალ მთლიან და ალბათ გამათავისუფლებენ, თუ წამოვიდოდი, მარტოდ არ წამოვალ, ჩემი ხელში მეორე კარგი ამაგცი მყავს და უნდა გამოჩნდესო...

— ღვთისო ღმერთო, დაუყვირა ჩემი დედაკაცი! არც მე მახვეწნებოდა, არც თითონ იხვეწნებოდა. მიხეილ-მიხეილ აგროვებდა ყველაფერს, ბიჭი მოვა და მერე დღეებს უნდა დავავიწროვოთ. [illegible] ჰყავდა მოხეული. ქალიშვილებსაც რომ სჯეროდათ?! გზა ჩემი ჭიშკრის წინ დაიდეს, ისე არ ჩაიღიდნენ, ჯანმრთელობა არ ეკითხათ. მის შემდეგ სადღა ახსოვთ ჩემი ჯანმრთელობა...

ბერიკაცი შეუგონდა, ვითომ შეუმართა ათარა და ფეხზე ჩემი ამოალებინა.

— ლოდინმა რომ დაგვქანცა და იმედი გადაგვეწყვეტათ, მაშინღა მოგვადგნენ კარს, — განაგრძო მოხუცმა. — მოვიდნენ, მაგრამ რაღა მოვიდნენ: ადამიანისა აღარაფერი ჰქონდათ შერჩენილი, ჩხირებივით იყვნენ, გვერდებში სინათლე გასდიოდათ. ჩამომავით იყვნენ შემართული, გული ძაფზე ეკიდათ, სულ უბრალო რამეზე შემოიხეულდნენ ტანსაცმელს. თუმცაღა სული როგორღა ედგათ ცოდვიან დღეზე, დაბადებულებს?! მთელი ერთი ღამე დარბეული ოჯახიდან... ჩემი ბიჭს ყუმბარის ნამსხვრევი ზედ მარჯვენა ფილტვთან ჰქონდა გაჩხირული. ისე მორიდებით სუნთქავდა, თითქოს ჰაერი არ ეყოფოდაო... სტუმარი კი ცალი ფეხი ვოლგის ნაპირებთან დარჩენოდა, ხოლო ცალით აგერ ჩემს ეზოში დაცუნცულებდა. თუ მთვრალი არ იყო, იჯდა გულჩათხრობილი, სიტყვას მარწუხითაც ვერ ამოაღებინებდით. მაგრამ როცა დალევდა, პირდაპირ გამხეცდი ხდებოდა: ტიროდა, იცინოდა, ყვიროდა, მღეროდა, იგინებოდა და ვინ იცის, რას არ შვრებოდა. მისი ოჯახი ომის დაწყებისთანავე ოკუპირებულ რაიონში მოხვედრილიყო და ახლობელთა შესახებ აღარაფერი იცოდა. ხან ვის გამოიტირებდა, ხან ვის...

იმ საცოდავმა მოსვლისთანავე თვალში აიყვანა ჩემი პატარა გოგო. რაღა პატარა, მეათე კლასში გადადიოდა, ჰოდა, დაიჩემა: ჩემს დაკარგულ დას ისე ჰგავს, როგორც გაჭრილი საზამთრო. შენ წარმოიდგინე, სახელიც გადაარქვა, თავისი დის სახელს ეძახდა. ღმერთო, შენ შემიწყე, საიდან სადაო, რაფრად მიამსგავსა, სად ჩემი გოგო და სად მისი და?! არ ჭამს გადაიკრავდა თუ არა, მოისვამდა გვერდით და ეალერსებოდა. ჩემი დედაკაცი მიჩივოდა და ცრემლმორეული მეტყოდა: — ვინ იცის, იქნებ ჩვენი დაკარგული შვილიც ასე ზის ახლა სადღაც შორეულ მხარეში და უცხო ბავშვების მოფერებით იკლავს თავისი დედ-მამიშვილების სიყვარულსაო...

— ხი, ხი, ხი, — ჩაიხითხითა უცებ პატარამ. იქვე ორიოდე ნაბიჯზე კრუხები თამაშობდნენ. ხან ერთი იყო ქვეშ, ხან მეორე. ზოგჯერ თამაშში დედა კატაც ჩაერეოდა, შვილებს თათებით ელაციცებოდა და სიამოვნებით კრუტუნებდა. ბიჭუნა უყურებდა და ხითხითებდა.

— რა გაცინებს, შე მამაძაღლო! — შემოუძახა მოხუცმა.

— წამოდი, შვილო, შინ წამოდი, დილას აქეთ არაფერი გიჭამია, — უთხრა ქალმა ბავშვს, ჩაჰკიდა ხელი და წაიყვანა. ბერიკაცმა ახლაღა შეამჩნია კნუტთან მოთამაშე კატა. ერთხანს გაკვირვებული უყურებდა, მერე ამოიოხრა და მითხრა:

— შვილები კატასაც უყვარს და...

— აბა, გაგიშინაურდათ სტუმარი, ჰა? — ჩემდაუნებურად მაინც ეცვალა სიტყვა.

— გაგვიშინაურდა როგორაა, შვილებში ვერ ვარჩევდით, — მიპასუხა მოხუცმა და განაგრძო: — გვეცოდებოდა, მაგარ ხასიათებს ვარიდებდით, მაგრამ რა, დაუმალე კატას თევზი! არაყი ცხრაკლიტულში რომ გვქონოდა, მაინც მიაგნებდა...

— ჰაი, დედასა! იმ დღეს შინ არ ვიყავი, ტყეში ვამზადებდი შეშას. დაიჯერებ? მოთლე არაყი დაელია; მერე როგორი არაყი, ხელისდადება ჯამი არ ახწყდებოდა! ი ჩემი გოგო ოთახში ყოფილა. თურმე გაკვეთილებს ამზადებდა, შეცვანცალებული, გადარეულივით სიცხია და მოუვლია მკლავებში. ყვირილზე პირველად ჩემი დედაკაცი მივარდნილა, მერე ბიჭიც მისულა. მაგრამ რაი მერე, ვერაფრით ვერ გააგდებინეს ხელიდან. თურმე მარწუხებივით უჭერდა მკლავებს და ამეხული მოხვეულივით ღმუოდა: ფაშისტებო, არ მოგცემთ, ამას ველარ წამართმევთ, გეყოთ, რაც გამიანადგურეთ...

— ფაშისტებს აქ რა უნდა, შენი ამხანაგი ვარ, ველარ მიცანი?! — ჩასძახოდა სასოწარკვეთით ჩემი ბიჭი. მაგრამ იგი გონს ვერა და ვერ მოდიოდა. რაც უფრო ეძალებოდნენ, მეტად და მეტად მძვინვარებდა. გოგო ისე ჰყოლია გათანგული, დახრჩობას აღარა აკლებია. ბოლოს ი ჩემმა ბიჭმა გამოუტაცნია მისი ხელიდან [illegible] გადარეული გოგო. ის საცოდავი კაცი კი აღარ გამოფხიზლებულა. არაყს გადაუწვია მისი გალეული გული.

დავბრუნდი და თქვენს მტერს ისეთი ამბავი, მე რომ შინ დამხვდა... რაც არ უნდა იყოს, [illegible], პირველ რიგში მიცვალებულს უნდა მიხედო. [illegible], თუ რამე შეგვეძლო, არაფერი დაგვიშურებია. სხვა ვინ ჰყავდა ჭირისუფალი... მოლი და თქვა ბედისწერა არ ასცდებოდა. ხალვაური სად დაიმარხა, ჰა?! ისე, ნამეტან კარგ ადგილას დავასაფლავეთ. აი, სასაფლაოზე რომ ყველაზე მაღალი მუხაა, მის ქვეშ მარხია.

ამ სოფელში ბავშვმაც კი იცის მისი საფლავი. მიდიან და ნახულობენ. მე ვერ ვნახულობ... — აქ მოხუცს ხმა ჩაუწყდა და ენა ველარ მოიბრუნა. შევატყე, ძალიან ელოდა. გასამხნევებელ სიტყვებზე ვფიქრობდი, მინდოდა საუბარში ჩავრეოდი, მაგრამ მან დამასწრო და ხმას აუწია: — გოგომ რა ქნა, იცი? ახლაც სალაპარაკოდ არის გამხდარი... თოკით შეაკრავდი რომ იყო, სტუმრის კუბოსთან [illegible], კარგი ჭირისუფალივით იდგა თავდახრილი და მიცვალებულს გამოცვეთებული თვალებით დასცქეროდა. მერე დასრულდა, [illegible] მის საფლავზე და იჯდა ჩუმჩუმ დაკრეფილი. აღარც ჭამა ახსოვდა, აღარც ხმა; თუ ძალით არ წამოვათრევდით, წამოსვლას ველარ მოიფიქრებდა... ჰოდა, ზამთარში, როცა ქალაქში გავლილით, [illegible] დედაკაცს [illegible] და მთელი დღე სასაფლაოზე გვეტარებინა. მე შენ გეტყვი, თბილად ჩაიცვავდა! გაცივებულა და ტვინის ანთება დამართია. ჩამოვიტანე და სულთმობრძავი დამხვდა... მის შემდეგ აღარც დედაკაცის უღიმნია დიდხანს... იქით ბიჭი გახდა ავად. დროზე ვერ მივაშველე ხელი მე უბედურმა.

წელიწადნახევარი [illegible] გვეკიდებოდით: იქნებ ჯარში შერჩენილმა შვილებმა მაინც გამახარონ-მეთქი. მაგრამ ბედმა აქაც მიმტყუნა... ბიჭი ხომ თავიდანვე დაიკარგა, ხოლო გოგოს [illegible] ვეღარ გავიგეთ. შეეყრე საცოდავებს, ოჯახის უბედურება რომ მარტოდმარტოს მეგებოდა, მერე კი ადვილი იყო ამ სიმძიმის ტარება?! ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, მეც ცოლშვილის კვალს გავყოლოდი. მაგრამ განზრახვა ერთმა პატარა ამბავმა ჩამიშალა. აი ჩვენს პირდაპირ რომ მაღალი სახლია, — მიმითითა მოხუცმა, — იქ ჩემი კბილა ბერიკაცი ცხოვრობს. ჰოდა, მოიჭრა ერთხელ ჩემთან და მითხრა: — ეს-ეს არის სასოფლო საბჭოდან მოვდივარ: თქმაც მიჭირს, მაგრამ უთქმელობაც არ შემიძლიათ...

მე გავშეშდი, თითქოს ტანში დენმა დამიარა, ჩემს დაკარგულ შვილებზე [illegible] რამ ხომ არ გაიგო ამ [illegible]-მეთქი.

— ჰაიტ, მე გკლავ, რამ შეგაშინა, ისეთი კი არაფერია, — მითხრა სიცილით და სულ მალე სერიოზული სახე მიიღო, — ერთ ქვემოუბნელს საბჭოში განცხადება შეუტანია, შენს ყანაში [illegible] დასახლება, შენზე უთქვამს, ისე დაჩაჩანაკდა, საცა არის მოკვდება, სახლკარიც [illegible] დარჩება, ვინა რაღად უნდაო...

— ჰა, გამაგრდი, თორემ ცუდად არის საქმე-მეთქი, შემოვუძახე ჩემს თავს. თურმე ეზოებში მომჩერებიან როდის მოვკვდები... მაშინ გადავწყვიტე ცოლის შერთვა. დატრიალდნენ მეზობლები, [illegible]! მიიკითხეს-მოიკითხეს და აგერ ეს დედაკაცი გამორიგეს. ღარიბი და უპატრონო იყო, მაგისას არც არას ცეცხლი დასწვავდა, არც არას წყალი წაიღებდა. მაშინ კიდევ გვარიანად ვიყავი, მერე მოვტყდი ერთბაშად...

— უნებლიეთ ჩაიქირქილა მოხუცმა და განაგრძო: — ერთ წელიწადში ბიჭის მამა გავხდი. ასე არ სჯობია?! ხომ კარგი ბიჭი მყავს?! რომ ვუყურებ, ჩემი ბალღობა მაგონდება. ხასიათით სულ მე მგავს. ჩემი შვილია და ამა ვის ემგვანება, ჰა?

მოხუცის ნაამბობმა ამაღელვა. ზღაპრები აღარ მიკითხავს, [illegible] უთხარი და დავემშვიდობე.

ექსპედიციიდან რომ დავბრუნდი, ბერიკაცის მონათხრობიც ზღაპრებთან და ლექსებთან ერთად გადავათეთრე და ფოლკლორული მასალების მიმღებ კომისიას წარვუდგინე. ჩანს, დაკვირვებით არ წაუკითხავს და მოხუცის თავგადასავალიც ზღაპრების კრებულების ნიმუშად მიიღეს, 6715 ნომრით აღნიშნეს.

გავიდეს ცოტა თუ ბევრი დრო, ჩვენს მშვიდობიან პლანეტაზე დამყარდება საყოველთაო მშვიდობა და ნანატრი ცხოვრება. ბედნიერ შთამომავლობას [illegible] წარსულის ამბებად მოეჩვენება. ხალხური შემოქმედების მკვლევარი მაშინ თუ ჩემს ფოლკლორულ ჩანაწერებს გადახედავს, უეჭველია, ყველა მასალაზე მეტად ბერიკაცის ამბით დაინტერესდება. მას ალბათ [illegible] ზღაპრის ნიმუშად მიიჩნევს, მოხუცის ტრაგედია ისევე იდეალურად და ფანტასტიკურად მოეჩვენება, როგორც დღეს [illegible] ზღაპარი მოგვეჩვენება. ნეტავ, ასე იქნება, რადგან მისი ამბავი ასეთი იყოს. ნეტავ ასე იქნებოდეს!

ფოთი.

ფოტო [illegible]

ᲐᲦᲕᲐᲦᲒᲘᲜᲝᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲜᲐᲠᲘ

1960 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც აკად. შ. ამირანაშვილი ხელმძღვანელობდა, უფლისციხეში აღმოაჩინა თიხისაგან გამოძერწილი მუსიკოსის ქანდაკება. დამკვრელს ხელთ უპყრია სიმებიანი მუსიკალური საკრავი. სპეციალისტების აზრით, ეს ძველი ქართული ქნარია.

ამგვარად, თუ დღემდე ძველი ქართული ქნარის შესახებ მხოლოდ ზოგიერთი სურათის და, უფრო კი ლიტერატურული წყაროების მიხედვით ვმსჯელობდით, ამჟამად გვაქვს ქნარის ნივთიერი განსახიერება, რომელიც ძ. წ. მე-5 საუკუნით თარიღდება (იხ. თ. ჭყონიძე — „უფლისციხის გათხრების მასალები"). ეს ფაქტი

უფლისციხეში აღმოჩენილი ქანდაკება.

◆

მოწმობს ქნარის გავრცელებასა და პოპულარობას. გამოსახულების მიხედვით, სამწუხაროდ, არა ჩანს რამდენსიმიანი იყო, ან რა მიმართულებით ჰქონდა მას ძალები — გასწვრივ თუ ცერად, მაგრამ დამკვრელის პოზისა და ხელების მდებარეობის მიხედვით მას ძალები ცერად უნდა ჰქონოდა გაბმული. ქნარი შემდეგშიც ასეთი აგებულებისა იყო. გავიხსენოთ XII საუკუნის ვერცხლის თასზე ქნარის გამოსახულება და XIII საუკუნის მინიატურა „წმ. დავითი უკრავს ქნარს" (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში). აქ წარმოდგენილი ქნარი მხოლოდ მარჯვენა მხარის მოხრილობით განირჩევა. შემდეგში მარჯვენა მხარის შვილდისებური მოხრილობა უფრო მკვეთრი და შესამჩნევი ხდება. XV საუკუნის ბოლოსათვის ჩხარის ჯვარზე, ოქრომჭედელ მამნის მიერ შესრულებული ქნარის გამოსახულება სავსებით შვილდისებურია. ამგვარად, ქართულმა ქნარმა თავისი გარეგანი ფორმა, შვილდისებური მოყვანილობა (XVIII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო ღერბზე წარმოდგენილი სურათის ჩათვლით) ბოლომდე შეინარჩუნა, საუკუნეთა მანძილზე მასში მომხდარი ცვლილებები მხოლოდ ძალების ურთიერთგანლაგებით, თანაზომიერებითა და მოყვანილობის განსხვავებით გამოიხატა.

ქნარი, როგორც სიცოცხლისა და ქების შემამკობელი საკრავი, ებანთან და ჩანგთან ერთად ხშირად იხსენიება ძველ ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ „დაბადების" ქართულ თარგმანში (ესაია 5,12, ბაქარისეული გამოც.) ქნარი სადღესასწაულო საკრავადაც არის მიჩნეული. („რამეთუ ქნარითანა და საფსალმუნისა დავლითა, ღვინოსა სუმენ, ხოლო საქმეთა უფლისათა არა ხედვენ" — უჩივის ისრაელთ ღმერთი).

საინტერესოა ის გარემოება, რომ ქნარი „ვეფხისტყაოსანში" მხოლოდ ერთხელ იხსენიება. სხვა შემთხვევაში მას ჩანგი სცვლის. ეს გარემოება იმ მხრივაც საინტერესოა, რომ საბა ქნარის განმარტებისას ამბობს: „ქნარი — ჩანგი (მუზიკელი)". ასე რომ, საბას დროს ქნარი ჩანგის სინონიმურ სახელადაც ყოფილა მიჩნეული, რაც იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ტერმინი ქნარი ამ დროს უკვე საკუთარ შინაარსს მოკლებული, სხვა სახის ძალებიანი მუსიკალური საკრავის — ჩანგის აღმნიშვნელი სინონიმური სახელი გამხდარა.

აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, ქნარის სინონიმი ყოფილა აგრეთვე ებანი. ამის დასადასტურებლად მას დასახელებული აქვს „დაბადების" ადგილები, სადაც ერთ შემთხვევაში იხსენიება „ებანი", ხოლო მეორე შესაბამ შემთხვევაში — „ქნარი".

საყურადღებოა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილიც ქნარს უწოდებს ჩანგს. იგი წერს: „ქნარი ეწოდება ჩანგს, საარსნიცა ამას ჩანგს უწოდებენ. ჩვენთა ქვეყანათა კავკასიის მთასა შინა იციან აფხაზთა და ზოგიერთს ალაგებში უკრავენ, რომელსაც იციან, ხის მოქაკავენ, ზედ ძროხის წვლილთაგან ქმნილთა ლართა გააბამენ, ანუ სიმთა და ისე უკრავენ, ხოლო ქნარად დავითისა წოდებული, რომელიცა აქვნდათ ძველთა მეფეთა ქართველთა დავითიან-ბაგრატოვანთა იგი შემკული იყო ფრიად მდიდრად, და მეფენი მარადის მას ქნარსა სამეფოსა თვისა ნიშნადთან თან დასდებდნენ. ესრეთ იყო ქმნილი, ვითარ აწ ევროპიელნი ხმარობენ არფასა და ალეგანიას მისსა, ანუ სიმნი რომელ არის სტრუნები რვალთა მიერ ნოქმნილთა აქვნდათ საკრავსა მას და ძველად საქართველოში დიან უცხოდ და ჩინებულად უკრავდნენ ქართულის ხმებითა და ჩანგნი აქვნდათ მშვენიერად და წმიდად ქმნილნი". (თ. ბატონიშვილი, განმარტება „პოემა „ვეფხისტყაოსნისა"", გ. იმედაშვილის რედ., თბ. 1950 წ.).

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ „ქნარი", ერთ შემთხვევაში, სინონიმური სახელია იმ საკრავისა, რომელსაც ხმარობენ აფხაზნი, ოსნი და ზოგიერთი კავკასიის მთის კუთხის მცხოვრებნი და რომელსაც „ქართულის წერილის ენითა" ეწოდება ჩანგი, მეორე შემთხვევაში, იგი აღნიშნავს „დავითის ქნარად" წოდებულ მუსიკალურ საკრავს, რომელიც გამართულია ევროპულ არფასავით და მასზე „ძველად საქართველოში დიან უცხოდ და ჩინებულად უკრავდნენ ქართული ხმებითა".

ამგვარად, საქართველოს სამეფო კარზე მიღებული მუსიკალური საკრავი, რომელსაც „ჩინებულად და უცხოდ უკრავდნენ ქართული ხმებით", იყო ძველი ქართული ქნარი, ხოლო მეორე, რომელიც უფრო კავკასიის მთიანეთში მეფობს — ქართული ჩანგი. ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი ძალებიანი საკრავი, ზოგიერთი მეცნიერის ნათქვამზე, ხშირად მიჩნეულია ერთიდაიგივე საკრავად, ხოლო სახელები — „ქნარი" და „ჩანგი" — სინონიმურ სახელწოდებად. თეიმურაზის აზრით, საქართველოს სინამდვილეში როგორც „ქნარი" ისე „ჩანგი" რეალურად მოქმედი და არსებული მუსიკალური საკრავებია. პირველი უფრო სამეფო კარზე მიღებული, მეორე კი უფრო ხალხური მნიშვნელობისაა.

გარკვეული კულტურულ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებისა და ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ წარსულში ქართული ქნარი, ისევე როგორც ებანი და ჩანგი, დამოუკიდებელი მუსიკალური საკრავები იყო. ის ამბავი, რომ წერილობით წყაროებში, ზოგიერთ შემთხვევაში, ქნარი, ებანი, ჩანგი, ფსალმუნი ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება, არ უნდა ნიშნავდეს მათი სავსებრივი მნიშვნელობის იგივეობას. ჩანს, ეს გარემოება გამოწვეულია აღნიშნულ საკრავთა შორის არსებული მსგავსების ნიადაგზე. ანალოგიური მოვლენა თავს იჩენს დღევანდელ სინამდვილეშიც. მაგალითად, საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში კერძოდ, ხევსურეთსა, ფშავსა, გუდამაყარსა და მთიულეთში სიმებიანი საკრავები ფანდური და ჩონგური ხან რეალურად არიან განსხვავებულნი, როგორც წესი, და ხან კიდევ ერთიდაიგივე მუსიკალურ საკრავად არიან მიჩნეულნი. ამ ნიადაგზე თვით სახელწოდებები: „ფანდური", „ჩონგური" ხან სინონიმური და ხანაც ომონიმური სახელებია.

ქნარზე დამკვრელი. (XII საუკუნის ვერცხლის თასი).

◆

ცნობილია, რომ ქართული ხალხური საკრავების დიდი ნაწილი უბრალო საკომპანიმენტო იარაღი კი არ იყო, არამედ ისინი მთელ მელოდიას წარმართავდნენ. მათში ეს შესაძლებლობა ან მთლიანად იყო მოცემული, ან ნაწილობრივ. ეს გარემოება განსაზღვრავდა ამა თუ იმ საკრავის შინაგან განვითარებასა და სრულყოფას. ამის ნათელ სურათს იძლევა ქართული ქნარი. ეს უკანასკნელი, მართალია, დღეს აღარ მოქმედებს, მაგრამ მის შესახებ არსებული წერილობითი ცნობები და ზოგიერთი გამოსახულება საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ქართული ქნარის ძირითადი მოყვანილობა და მუსიკალური წყობა. ქნარს რომ ღრმად ჰქონია გამდგარი ფესვი ძველ ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში, ამას მისი საყოველთაო გავრცელება და პოპულარობა გვიჩვენებს.

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავსვათ ქნარის აღდგენის საკითხი. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ძველი ქართული ქნარის გამოსახულებები, აღვადგინოთ და გავაუმჯობესოთ იგი, ისე რომ შევინარჩუნოთ ეროვნული ფორმა-მოყვანილობა, ტკბილი და ხავერდოვანი ხმები და ბგერათა თავისებურება, რათა ქნარი კვლავ „უცხოდ და ჩინებულად" ეღერდეს ქართულ ხალხურ საკრავთა წყობაში.

დ. ალავიძე.
ნ. რეხვიაშვილი

„ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ"

ᲠᲘᲒᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ყოველ სპექტაკლს თავისი მაყურებელი ჰყავს. არის პიესები, რომლებიც განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდათა შორის, არის პიესები, რომლებიც თითქოს უფროსი ასაკის მაყურებლისათვის არის განკუთვნილი, რადგან ეს პიესები მათს ინტერესებს უპასუხებს. ისეთი პიესებიც არის ყველა ასაკის ადამიანს რომ იზიდავს, ყველასთან რომ აბამს უბრალო ინტიმურ ბაასს. ასეთ პიესას დიდი ხნის სცენური სიცოცხლე უწერია.

ეს აზრები გვებადებოდა, როცა ვუყურებთ ცნობილი საბჭოთა მწერლის კ. სიმონოვის პიესას — „ამბავი ერთი სიყვარულისა". ეს პიესა ავტორის ერთ-ერთი პირველი დრამატული ნაწარმოებია. ამბავი ოცდაათიანი წლების მიწურულში ხდება, მაგრამ ნაწარმოებში დასმულ საკითხებსა და აზრებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

როგორც პიესის სათაური გვამცნობს, ამბავი სიყვარულს, ადამიანის მორალს ეხება, შეიძლება თუ არა ნამდვილ სიყვარულს ახლდეს ორპირობა, სიცრუე.

თეატრმა და დამდგმელმა კოლექტივმა (რეჟისორი — ა. კაცი, მხატვარი — მ. აბოლინი, კომპოზიტორი — მ. ფრადკინი) ამაღლებული სპექტაკლი შექმნეს.

მსახიობი რ. სოლნცევა დიდი ემოციურობითა და პროფესიონალიზმით განასახიერებს კატიას რთულ ხასიათს. კატია იხიბლება ვაგანოვის ტკბილი სიტყვებით, მისი გულების სფეროში ეკვეცა და, ერთი პირობა, ქმრის მიმართ გულიც ეცივდება, მაგრამ მოვლენათა განვითარება საშუალებას აძლევს გაერკვეს თავის გრძნობებში და დარწმუნდეს, რომ ვაგანოვი არ მყვარებია, რომ ეს ხანმოკლე გატაცება ყოფილა, ქმრის მიმართ კი ნამდვილი და მყარი სიყვარული ჰქონია. მსახიობ რ. სოლნცევას დამსახურება სწორედ ის არის, რომ ხასიათის ამ ტრანსფორმაციას დიდი შინაგანი დაძაბულობით, სულიერი მღელვარებით და დამაჯერებლობით გვაწვდის.

ალექსი მარკოვის მეტად საინტერესო სახე წარმოგვიდგინა ლატვიის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. მიხაილოვმა. თავის ინტერესებში ჩაკეტილი, მაგრამ გამბედავი, შეუპოვარი ალექსი მარკოვი ხშირად ვერ გამოხატავს ცოლისადმი სიყვარულს, ვერ იჩენს იმ სითბოსა და ყურადღებას, რაც ცოლს სჭირდება (სწორედ ეს აძლევს კატიას საბაბს სხვა მამაკაცით იყოს გატაცებული), ალექსი განიცდის, იტანჯება და მის მთელ ამ სულიერ ტრაგიზმს მსახიობი მეტად ძუნწად, მაგრამ გამომსახველი საშუალებით და ფერადოვნებით გვიჩვენებს. მსახიობ ა. მიხაილოვის მხატვრული აზროვნება ერთობ შთამბეჭდავი და დამაჯერებელია.

მომხიბვლელი მოხუცის — ძია კოლიას კოლორიტული სახე შექმნა ლატვიის სსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. ტიმოფეევმა. სცენაზე მისი ყოველი გამოჩენა მაყურებლის სიმპათიას და პერსონაჟისადმი ისეთ გულთბილ დამოკიდებულებას იწვევს, რაც მას ავტორმა დრამატურგიული კოლიზიებით დააკისრა.

მკვეთრი სცენური ხასიათი გვაჩვენა აგრეთვე ლატვიის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ალექსანდროვამ მარია პეტროვნას სახის განსახიერებისას.

ანდრეი ვაგანოვის შემსრულებელი ლატვიის სსრ დამსახურებული არტისტი ბ. ჟურუევი ძირითადად სწორად იძლევა გმირის ხასიათს. მისი ვაგანოვი ეგოისტია, ცდილობს კატიას ხელში ჩასაგდებად მოხერხებული სიტუაციები შექმნას, რისთვისაც ყველა ხერხს მიმართავს.

რეჟისორმა ა. კაცმა სპექტაკლი გაიაზრა, როგორც ადამიანთა სულიერი სამყაროს დიდი ემოციური ტილო, ხოლო მხატვარმა მ. აბოლინმა ყველა პირობა შეუქმნია იმისათვის, რომ მსახიობს ფართო და მოხერხებული სამოქმედო ასპარეზი ჰქონოდა.

რიგელების სპექტაკლის — „ამბავი ერთი სიყვარულისა" — შთაბეჭდილება დიდხანს გაჰყვება ჩვენს მაყურებელს.

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ გახსნის პირველსავე დღეებში, ლენინის ორდენოსანმა რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს ახალი სპექტაკლი შესთავაზა. ეს არის ჟაკ რობერის ცნობილი პიესა „შეხვედრა", რომლის მიხედვითაც შექმნილმა ფრანგულმა ფილმმა „მარი-ოქტომბერმა" მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკრანი მოიარა.

„შეხვედრის" დადგმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა რ. სტურუამ, სპექტაკლის მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ლაპიაშვილი. როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტები: მ. ჩახავა, ე. მანჯგალაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. მაღალაშვილი, გ. გეგეჭკორი, რ. ჩხიკვაძე, გ. სალარიძე, ბ. კობახიძე, მ. თაბუკაშვილი, გ. თოლორაია და მსახიობი ე. სახლთხუციშვილი.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

• • •

სურათზე: მ. ჩახავა — მარი-ოქტომბერი და ე. მაღალაშვილი — დე ბუევენი.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ სამტრედიის სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა დრამატურგ თ. ფერაძის ორმოქმედებიანი დრამა „უტუ მიქავა". როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. სიგუა, გ. ახობაძე, ა. გვაზავა, ლ. კუპუნიძე, შ. ჟუჟუნაძე, ნ. კალაძე, გ. ჩიქობავა, ვ. ოდილაველი, ჩ. ბოლქვაძე.

პიესა დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. კაკაჩიშვილმა.

ვ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ერთი ისტორიული ამბავი ჩვენს თვალწინ აცოცხლებს „ბოდბელი დიაცის" უკვდავ სახეს. მან სამაგალითო გმირობა გამოიჩინა მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ხუნძახის გამგებელი ნურსალ-ბეგი მრავალრიცხოვანი ჯარით დაესხა სოფელ ბოდბეს, მოსახლეობა აიკლო, ზოგი დახოცა და ზოგიც დაატყვევა. ერთ ლეკს ერთი ბოდბელი მანდილოსანი დაუჭერია და მისი დამორჩილებაც უცდია, მაგრამ ქალს მოხერხებით ლეკისათვის ხანჯალი წაურთმევია და მოუკლავს. შემდეგ, განრისხებულ ქალს ამ სისხლიანი ხანჯლით შემოურბენია მთელი ბოდბის ახლო-მახლო მდებარე სოფლები და ხალხისათვის ლეკთა თარეში უცნობებია. ქიზიყის მოურავს ზაალ ანდრონიკაშვილს სასწრაფოდ შეუკრებია რჩეული ვაჟკაცები, დასდევნებია მტერს, ნადავლი და ტყვეები წაურთმევია და მოთარეშენი გაუწყვეტია.

ეს ამბავი ისტორიკოსის მიერ ასეა მოთხრობილი: ნურსალ-ბეგი „დაესხა ბოდბეს და იავარ-ჰყო რამდენიმე უბანი. მაშინ მხნედ იყვნენ ბალაანი. ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი. მადარის, სადაც შემოურბენ ქისიყნი, მძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ათასისა და მენ ლეკმან ერთმან ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა დამდაბლება მისი, წარსტაცა ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან მან და ესრეთ განერა დიაცი იგი. და წარვიდა ნურსალ სირცხვილეული"[1].

ხალხის მეხსიერებამ კი ეს ისტორიული სინამდვილე ასე შემოუნახავს: ლეკის მთავარს მოსწონებია ბოდბელი დიაცი,[2] რომელსაც ქმარ-შვილი ლეკებმა დაუხოცეს. ლეკების მთავარი დიაცს დაჰპირებია: თუ ცოლად წამომყვები, დიდებულად გაგხდი. ბოდბელ დიაცს კი მოუტყუებია, — შენს ხანჯალს შევლოცავ და ისეთი ძალა გექნება, მკვდარს რომ გადაუსვა, გააცოცხლებსო. ლეკი შემდგარა, დაუკრავს დიაცისათვის ხანჯალი და მოუკლავს. ამ ამბავს დიდი გავლენა მოუხდენია ბოდბელებზე. შებრძოლებიან ლეკებს და მთების იქით გადაურეკიათ. გმირმა ქართველმა ქალმა საკუთარ მიწა-წყალზე სიკვდილი ამჯობინა უცხოეთში დიდებულობას და იქ იპოვა მუდმივი ბინა, სადაც მისი ქმარ-შვილი განისვენებდა ქედმოუხრელი და ხმალშეუხებელი.

ამ გადმოცემას საფუძვლად უდევს ქართულ ფოლკლორში გავრცელებული ლეგენდა, რომლის პირველი წყაროა „მარტვილობა გვერასია ქალწულისა". (კ. კეკელიძე — „ბაში-აჩუკის" ერთი ეპიზოდისათვის. ეტიუდები, II, 1945, გვ. 64-70, მ. ჩიქოვანი, „ბაში-აჩუკის" ფოლკლორული საწყისი ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1940, № 8, ი. ლოლაშვილი — „ბაში-აჩუკის" ერთი ეპიზოდისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI, 1941). ეს ლეგენდა ხალხმა დაუკავშირა ბოდბელი დედაკაცის ამბავს. ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ხშირია შემთხვევა, როცა ერთი ამბავი რამდენიმე გმირს უკავშირდება. ხალხი საყვარელ გმირს ხშირად მიაწერს ისეთ ამბავს, რომელიც მეორე გმირის კუთვნილებაა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 508.

[2] გადმოცემა 1961 წელს ჩავიწერე სოფელ გიორგიწმინდაში.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲑᲐᲚᲖᲐᲙᲛᲐ თავისი რომანი „ოცდაათი წლის ქალი" ერთ-ერთ მეგობარ ქალს გაუგზავნა და თან შესაფერისი წარწერაც გაუკეთა თავფურცელზე. რამდენიმე წლის შემდეგ სენის ნაპირებზე მოსეირნე მწერალმა ბუკინისტთან შემთხვევით ნახა ეს წიგნი, გაუჭრელი. მაგრამ კიდევ უფრო გააკვირვა წიგნის ფასმა — იგი მეტად იაფად იყო შეფასებული.

— ილით, — თქვა ბუკინისტმა, — მე წიგნს უფრო ძვირადაც გავყიდდი, მაგრამ თავფურცელი ვიღაცას დაუჯღაბნია და ეს, რა თქმა უნდა, ძალზე სცემს მის ღირსებას.

• • •

[illegible] ერთმა გულუბრყვილო ქალმა ჰკითხა პიკასოს:

— გეთაყვა, ძნელია კარგი ლექსების წერა?

— როგორ გითხრათ, — ჩაფიქრდა მწერალი, — ან ძალზე ადვილია, ან სავსებით შეუძლებელი.

• • •

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡ ქრისტიან ლიხტენბერგს ერთმა თვითკმაყოფილმა და მკვეთრმიმართულმა კაცმა ჰკითხა:

— შეგიძლიათ ამიხსნათ, რა განსხვავებაა დროსა და მარადიულობას შორის?

— სამწუხაროდ ეს შეუძლებელია, — უპასუხა ფილოსოფოსმა, — რადგან მე რომ ვიპოვო დრო ამის ასახსნელად, თქვენ მარადიულობაც არ გეყოფათ, ეს რომ გაიგოთ.

• • •

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ლიტერატორთა წრეში ერთი ლორდი, თავისი ნიჭის უაღრესად მორწმუნე პოეტი მოხვდა. დაინახა თუ არა ბერნარდ შოუ, მიუახლოვდა და მასთან გაბაასება სცადა:

— როცა მე ოცი წლისა ვიყავი, — დაიწყო და თან პაპიროსი გააბოლა, — ექიმებმა თამბაქოს მოწევა ამიკრძალეს, ტვინის უჯრედებზე იმოქმედებსო.

— მაშ, რად არ დაუჯერეთ ექიმებს? — სწრაფად უპასუხა შოუმ.

• • •

ᲝᲪᲓᲐᲗᲘᲐᲜᲘ წლების კინომსახიობს ლონ ჩანეის მრავალსახიან ადამიანს უძახდნენ (ჩვენში ცნობილია მასზე შექმნილი ფილმი „ათასსახიანი კაცი"). იგი ისე შეიცვლიდა ხოლმე სახეს, რომ მისი ცნობა შეუძლებელი იყო.

ამერიკული კინოს ცნობილი მოღვაწეები ჰაროლდ ლოიდი და ბესტერ კიტონი ერთხელ ჰოლივუდში სეირნობდნენ, ხოჭი დაინახეს. კიტონს ხოჭის გასრესა უნდოდა, მაგრამ ლოიდმა გააჩერა.

— ნუ მოკლავ, ხომ შეიძლება ეს ლონ ჩანეი იყოს?

• • •

ᲔᲠᲗᲛᲐ ჟურნალისტმა ერთ-ერთ სოლიდურ ჟურნალს მიუტანა ლექსი და მოაწერა: „კიპლინგი". კიპლინგი აღშფოთდა და გამომცემლებს მიმართა: — „ეს ხომ პოეზია არ არის, უნიჭობაა".

„ჩვენც ამასვე ვფიქრობთ, — მისწერა რედაქტორმა. — ძალიან გვწყინს, მაგრამ გვეგონა, რომ იგი თქვენი იყო"...

• • •

ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ, თუ რაზე მუშაობს ახლა, ჰემინგუეიმ უპასუხა:

— ახალ რომანზე.

— ვერ მეტყვით მის თემას?

— როგორ არა, — თქვა მწერალმა, — [illegible]

[illegible]

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ქართველი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და პუბლიცისტი დიმიტრი ყიფიანი აქტიურად მონაწილეობდა თავისი დროის საქართველოს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. მის სახელთან დაკავშირებულია იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა თვალსაჩინო მოვლენა.

დ. ყიფიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის ბევრ საინტერესო ფურცელს ჰფენს შუქს. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება ყიფიანის საოჯახო არქივი, რომელშიც დიმიტრი ყიფიანის ბევრი წერილია დაცული. მათი უმრავლესობა დღემდე გამოუქვეყნებელია.

ვბეჭდავთ ამ წერილების ადგილებს.

დ. ყიფიანს ეს წერილები თავისი მეუღლისათვის — ნინოსათვის გამოუგზავნია პეტერბურგიდან გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში. იმ დროს დ. ყიფიანი სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის მეურვედ ითვლებოდა და გამოძახებული იყო პეტერბურგში, სადაც წყდებოდა სამეგრელოს ავტონომიის გაუქმებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ამ წერილებში ვეცნობით იმდროინდელი პეტერბურგის არტისტულ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე დ. ყიფიანის შეხედულებებს.

აქვე მოგვყავს დიმიტრი ყიფიანის შვილის, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის, ნიკოლოზ ყიფიანის მამისადმი მიწერილი წერილების ადგილები.

□

1860 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ᲪᲐᲠᲡᲙᲝᲔ ᲡᲔᲚᲝ. „ობლომოვი" წაიკითხე: აქ იგი დიდ ქება-დიდებაშია: მე და შენ კი სავსებით ერთნაირი აზრი გვაქვს მის შესახებ"...

2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1860 Წ. ᲡᲝᲤᲘᲐ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ.

ჩემო სულიკო, საყვარელო ნინუცა! გუშინ მივიღე შენი 20 ივნისის წერილი, რომელმაც მთლად გამაცოცხლა. ალექსანდრე ნიკ(ოლაი)[2] და კონსტ. დადიანი[3], რომლებთანაც დროს ვატარებდი, როგორც მოგეხსენება, დიდიხანია რაც წავიდნენ: ალექსანდრე ორბე(ლიანი)[4]. გუშინ დილით გავაცილე და, ამრიგად, დავრჩი მარტო ჩემი უსაქმურობითა, ჩემი ფიქრებით, შენზე და ბავშვებზე აკვიატებული მოუსვენრობით. ახლა კი დამშვიდებული ვარ და კატეგორიულად გადავწყვიტე გიპასუხო გუშინდელ წერილზე, რომელიც თბილისიდან მიღებულია სრული ათი დღის შემდეგ, ესე იგი გამოგზავნილია 20 ივნისს და ცარსკოე სელოში მიღებულია 30-ს. ჩემს ამ წერილს დასაწყისში აგრეთვე აწერია: სოფია. ეს როგორ მოხდა, რომ შენ ცარსკოე სელოში ცხოვრობდი და არ იცი, რას ნიშნავს სოფია? სოფია, ჩემო სულიკო, ეწოდება ოდესღაც უთვალ, ახლა კი უმაზრო ქალაქს, ან, უფრო სწორად, ქალაქ ცარსკოე სელოს გარეუბანს: კიდევ უფრო სწორად ცარსკოე სელოს განსაკუთრებულ ნაწილს. მთელი განსხვავება ისაა, რომ ცარსკოე სელო ქალაქია ისე, როგორც სხვა ქალაქები: არაჩვეულებრივად სუფთა, არაჩვეულებრივად ფაქიზი, მაგრამ მაინც ქალაქია, სადაც ცოტაა სიმწვანე და, მაშასადამე, ბევრია მტვერი და დიდი სიცხე იცის... სოფია კი, ასევე სუფთა და ფაქიზია, ხეთა მწვანეში ჩაფლული და ამიტომ სწორედ აქაა ის საოცნებო ცხოვრება, რომელიც იზიდავს პეტერბურგს. ყველას, ვისაც კი აქვს აგარაკზე წასვლის საშუალება, ისიც აქ მიდის გაზაფხულიდან. პეტერბურგი ამ დროს მართლაც უდაბნოა: შეხუთული ჰაერი, მტვერი, სიცხე.

1860 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ:

„...წუხელ, კნეინასთან და მიშუკასთან, [illegible] შვილთან, დარიკო ორბ(ელიანთან) ერთად წავედი პავლოვსკში შტრაუსის უკანასკნელ მუსიკალურ საღამოზე, რადგან იგი უკანასკნელი იყო, ამიტომ ვოგზალში 300-ზე მეტი ქალი და კაცი შეიკრიბა. საღამოს 7 საათიდან 10 1/2-მდე ვისხედით გაუნძრევლად".

1860 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ᲙᲕᲘᲠᲐ.

...„სამი დღის წინათ ვიყავი ლიტერატორების საჯარო გამოსვლაზე პასაჟში. კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — საუცხოოდ; ჩვენი პოლონსკი — ახლა აქ იგი ითვლება შესანიშნავ პოეტად — კარგად; მაიკოვი — საუცხოოდ; დოსტოევსკი, პისემსკი 7. — არა უშავს რა, და შევჩენკო, მალორუსიელი პოეტი და მხატვარი, დიდებულად.

ყველაფერი ეს გაგრძელდა საღამოს 7 1/2 საათიდან 10 1/2-მდე. დარბაზი გატენილი იყო ხალხით.

1860 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.

„გუშინ, ბოლოში, სამი დღის წინათ, მივიდოდა ტრაგედია „მედეა". იტალიურ ენაზე მედეას თამაშობდა სახელგანთქმული რისტორი, ამბობენ, რომ ვისაც რისტორის თამაში უნახავს, თითქოს გული წაუვიდოდეს, ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება რომ შეხვდა. რაშიაც მეცხადია, არ მინახავს. მაგრამ რისტორი მართლაც, დიდებულად თამაშობს. ის რომ საუცხოო არტისტია, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ხალხი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბილეთის ფასს, მიუხედავად იმისა, რომ თამაშობენ, ესე იგი კი არ მღერიან, არამედ თამაშობენ იტალიურად. მეც ავიღე საყვარლის აბონემენტი რისტორის წარმოდგენებზე და იტალიურ ოპერაზე, და, წარმოიდგინე, რა დამიჯდა ეს — სამხილებაა — 180 მანეთი! — რას იზამ!

1860 ᲬᲚᲘᲡ 11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.

„...გუშინ ჩემი აბონემენტი იყო რისტორისთან. ეს ისეთი არაჩვეულებრივი არტისტია, რომ მისი, თუნდაც, ერთი წარმოდგენის გამოტოვება ბევრის დაკარგვას უდრის. მე სრულიადაც არა ვარ გულუხვი არტისტების შექებისას, მაგრამ რისტორის თამაში ყოველგვარ ქებაზე მაღლა დგას. უკვე სამჯერ ვნახე ის. პირველად თამაშობდა მედეას და მეგონა, ამ თამაშზე უკეთესი არაფერი შეიძლება იყოს-მეთქი. მეორეჯერ ითამაშა მარიამ სტიუარტი და მედეა დამავიწყა.

გუშინ კამის თამაშობდა და ზუსტად ასევე. მარიამ სტიუარტი დამავიწყა. ვერ წარმოიდგენია, სადამდე მიდის მისი თამაში, თუ ასე გამოცდიდებით ამაღლდება, ის კი, ამბობენ, 12 დრამას თამაშობსო. ისეთ სრულ და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე, რომ ვერ ბედავენ თამაშის დროს ტაშის დაკვრას, რადგან ეშინიათ, არც ერთი მისი მიხვრა-მოხვრა არ გამოეპაროთ. იგი იტალიურად თამაშობს. მაგრამ სრულებით არაა საჭირო ამ ენის ცოდნა, უმისოდაც ყველას ესმის მისი. ჭეშმარიტად კოლოსალური ტალანტია როგორც ეს მოხდა გუშინ, თეატრში, ჩემს გვერდით მჯდომმა ერთმა კაცმა, გარდა ამისა, კვირაში ერთხელ დავდივარ ოპერაში, ერთხელ ან ორჯერ ფრანგულ თეატრში".

1860 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.

„...გუშინ მოვხვდი ინგლისურ კლუბში სადილზე. რატომ ეძახიან მას ინგლისურს, არ ვიცი. მაგრამ წევრად ითვლება მეტად საპატიო ხალხი. მე შემიყვანეს როგორც სტუმარი და ისე გულთბილად მიმიღეს, იძულებული გავხდი პირობა მიმეცა, რომ კვირაში სამჯერ მივალ მათთან. შენობა დიდებულია; საზოგადოება დახვეწილი, სადილი საუცხოო, მაგრამ ღირს მხოლოდ 1 მ...".

1860 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.

„ვერ შევეჩვიე ლოდინს, როდესაც ის ადგილი წავიკითხე, სადაც იმის შესახებ მწერ, მიწა რომ დავუთმე შიოს ოჯახს.

აქედან ვერ გიამბობ იმ მიზეზებზე, რომლებიც მაიძულებენ ასე მოვიქცე: მიზეზი მაქვს, მაგრამ ჩემი შვილები ამით არაფერს კარგავენ. ყოველ შემთხვევაში, ეს უკვე მამის სინდისის საქმეა, შემოინახონ თუ არა ბავშვებისათვის ესა თუ ის მამული".

Ნ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ: 1865 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.

„ერთი რუსი პუბლიცისტი და ლიტერატორი სერნო-სოლოვიევიჩი[10] (ჩერნიშევსკის მაგვარი), ციმბირში გადასახლეს, მაღაროებში".

ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ. 1865 Წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲪᲐᲠᲡᲙᲝᲔ ᲡᲔᲚᲝ.

„სამი დღის წინათ პავლოვსკში, მუსიკაზე, შემხვდა დადეშქელიანი,[11] რომლის შესახებ, მგონი, უკვე მოგწერე.

იგი მსახურობდა ციმბირში, ახლა ორი თვეა, რაც პეტერბურგშია, მალე ოდესაში წავა. დიდი მოგზაური ყოფილა, იქიდან საქართველოში გადავა. მე იგი გავიცანი კნეინა დადიანთან. დიდხანს ერთად ვიყავით და ბევრ რამეზე ვმსჯელობდით, იცნობს იმერეთში მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე. რადგან ამგვარი სამსახური მისთვის კარგად ცნობილი ყოფილა: მომრიგებელ შუამავლად იყო ნერჩინსკში. მიამბობდა აგრეთვე მიხაილოვზე[12], და ჩერნიშევსკიზე, რომლებსაც კარგად იცნობდა ნერჩინსკში".

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲔᲜᲘᲙᲝᲚᲝᲤᲝᲕᲘ

[illegible]

10) ნიკოლოზ სერნო-სოლოვიევიჩი. — რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, 1864 წელს მიესაჯა თორმეტი წლის კატორღა. ციმბირში გარდაიცვალა.

11) ალექსანდრე დადეშქელიანი — კორეის შესახებ დაწერილი ნაშრომის ავტორი, 1857 წლიდან ციმბირში იყო გადასახლებული.

12) მიხეილ მიხაილოვი — რუსი პოეტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. გარდაიცვალა კატორღაში.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐᲜ

10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ქუთაისის ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლში საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ შეხვედრა მოუწყო მწერალ მიხეილ მრევლიშვილს. შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კულტურის განყოფილების გამგემ ავთანდილ ბარათაშვილმა.

მიხეილ მრევლიშვილის შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა დრამატურგმა ლევან ხანიკაძემ. მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა მ. მრევლიშვილის მოთხრობებზე, ნოველებზე, პიესებზე, მწერლის ოსტატობაზე და მის თავისებურ მხატვრულ ხერხებზე. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანმა დავით კვაცაძემ, პოეტებმა ალექსანდრე გომიაშვილმა, ლილი ნუცუბიძემ, გიორგი სამხარაძემ, კრიტიკოსმა ვლადიმერ ჯიბუტმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შოთა პირველმა, ექიმმა ლილი ფხაკაძემ, მოსწავლეებმა ახალხნიბამ და ქეთევან ლეჟავამ. ახალგაზრდობის სახელით სტუმარს მიესალმა [illegible]

ᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ეს საინტერესო ფოტოსურათი დაცულია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, ცნობილი მონადირის გიორგი აბულაძის პირად არქივში. იგი გადაიღო პირველმა ქართველმა ფოტოგრაფმა, შესანიშნავმა საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე როინიშვილმა.

სურათი გადაღებულია 1871 წელს. [illegible]

დავით აბულაძე სხვა მხრივაც ყოფილა საინტერესო და ბევრი დამსახურებაც ჰქონია. მისი ვაჟიშვილის გიორგის არქივში ინახება ერთი წერილობითი საბუთი, რომელიც 1864 წლის 6 მაისს გაცემულია მესამე ასეულის კაპიტნის ვარნაძის მიერ. მასში ნათქვამია, რომ დ. აბულაძეს მონაწილეობა მიუღია შამილის წინააღმდეგ ომში და თავი უსახელებია 1859 წელს გამართულ ბრძოლებში. მას ბევრჯერ გამოუჩენია მამაცობა, განსაკუთრებით კი — რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. დ. აბულაძე გარდაიცვალა 1892 წელს 52 წლის ასაკში.

Კ. ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

„ᲡᲝᲕᲔᲢᲡᲙᲘ ᲞᲘᲡᲐᲢᲔᲚᲘ"

ელიზბარ მაისურაძე — გაბრწყინებული მაყურები. (მოთხრობები რუსულ ენაზე). წიგნში შესულია: „გაბრწყინებული მაყურები", „მზეტუნახავი", „სამასწლიანი სეფერასთან", „მოულოდნელი განაჩენი" და „მაგარამე" [illegible] წიგნს დართული აქვს ავტორის წინასიტყვაობა და პორტრეტი. მოთხრობები თარგმნილია ნ. მიქავას მიერ. რედაქტორია გ. ლეონიძე, მხატვარი — ს. ტოლმანი. წიგნი შეიცავს 188 გვერდს და ღირს 24 კაპ.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ"

ლევან გოთუა — გმირთა ვარამი. წიგნი პირველი და მეორე. რედაქტორი — ნ. ინასარიძე, მხატვარი — გ. გორდელაძე. გვ. 728, ფასი 1 მან. 37 კაპ.

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ"

იუჰან სმუულ — ყინულის წიგნი. (ანტარქტიკული დღიური). თარგმანი ჯუნეტო ვანტერისა. რედაქტორი — ა. ბოცვაძე, მხატვარი — თ. სამსონაძე. გვ. 330, ფასი 63 კაპ.

ალექსანდრე კუპრინი — ზოზოები. (მოთხრობა). თარგმანი ნინო მშველიძისა, რედაქტორი — რ. ინანიშვილი, მხატვარი — გ. ნადარეიშვილი. გვ. 14, ფასი 3 კაპ.

სალიდა მასილოვა — უნიჭარი მეღორი. (მოთხრობა). თარგმანი დ. გადაბადიძე და ქ. ჭილაშვილისა, რედაქტორი — ლ. თურმანიძე, მხატვარი — მ. ცხადაძე. გვ. 56, ფასი 9 კაპ.

ალექსეი ტოლსტოი — ფაფუნა. თარგმანი ქილდა გორდაძისა, რედაქტორი — რ. ინანიშვილი, მხატვარი — ი. ქლიბაძე. გვ. 38, ფასი 8 კაპ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ
„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ"
1966 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ
ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘᲐ 5 ᲛᲐᲜ. 20 ᲙᲐᲞ.
ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ"
ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „ᲡᲝᲘᲣᲖᲞᲔᲭᲐᲢᲘᲡ"
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ

რედაქტორის მაგიერ ერ. ქარჩიშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. ზურაბიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, გ. ძიძარია, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, შ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 14, [illegible] 3-84-84, [illegible] 3-87-10. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 04590